პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 27 აგვისტო, 1944 წ. № 174 (7127)). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ფოლბუხინს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ანვითარებდნენ, დღეს, 26 აგვისტოს, იერიშით დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი და სიმაგრე **იზმაილი** — მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი დუნაის ქვემო წელში.

ქალაქ და სიმაგრე **იზმაილის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შლიომინის**, გენერალ-მაიორ **კოლჩუკის**, პოდპოლკოვნიკ **ზავიალოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ნედელინის**, პოლკოვნიკ **ტრეხნოვის**, მაიორ **ბოროხოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სუხორუჩკინის**, პოლკოვნიკ **რუმიანცევის**, პოდპოლკოვნიკ **მუხინის**, მაიორ **შევკინის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **სუდეცის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **იბნატოვის**, პოლკოვნიკ **პუზირევსკის**, პოლკოვნიკ **მარენოვის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ეგოროვის**, პოლკოვნიკ **კოტკოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ და სიმაგრე **იზმაილის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**იზმაილის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი და სიმაგრე **იზმაილი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **იზმაილის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაიცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 26 აგვისტო.

მომზადებული შეეხვედეთ სწავლის დაწყებას

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. უმცროს კლასებში — პირველიდან მეოთხემდე — მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს, ხოლო უფროს კლასებში — მეხუთედან მეათემდე — 1 ოქტომბერს.

სწავლის დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სასწავლო წლისათვის მზადების დასამთავრებლად. მომავალი სასწავლო წლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შევხვდებით მას.

რას ნიშნავს სკოლის მზადყოფნა სწავლის დაწყებისათვის?

პირველი, — ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა და ძველი შენობების რემონტი მთლიანად დამთავრებულია, საკლასო ოთახები, დერეფნები, მთელი შენობა ლამაზად, სუფთად და მიმზიდველად გამოიყურება, სასკოლო ინვენტარი — მერხები, მაგიდა, დაფა, სკამი სრულ წესრიგშია.

მეორე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ზუსტად აღრიცხულია სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, საკლასო ოთახები და ინვენტარი საკმაოა მეცადინეობის ერთ ან ორ წყებად, მაგრამ არა სამ წყებად წარმოებისათვის, შესწავლილია ბავშვთა, განსაკუთრებით ფრონტელთა შვილების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, შექმნილია ფონდი მათთვის დახმარების გასაწევად.

მესამე, — ეს იმას ნიშნავს, რომ შესრულებულია ახალი სახელმძღვანელოების გამოცემისა და ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა, დამზადებულია სასწავლო ნივთები — რვეული, სამელნე, მელანი, კალმისტარი, ფანქარი და სხვ., ადგილებზე მიტანილია მათი განსაზღვრული ნაწილი.

მეოთხე, — ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა მომარაგებულია მთელი ზამთრისათვის საჭირო სათბობით—შეშით, ქვანახშირით.

მეხუთე, — ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიკაციური პედაგოგიური კადრებით, ახალი თაობის ღირსეული აღმზრდელებით.

ამ პირობათა შესაქმნელად ჩატარებულია დიდი მუშაობა. უმრავლეს ქალაქებსა და რაიონებს, მაგალითად, ზესტაფონს, აბაშას, ხაშურს, მცხეთას, ლანჩხუთს, გურჯაანს, მახარაძეს სასკოლო შენობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი დამთავრებული აქვთ. ბევრგან დაზუსტებულია სასკოლო ასაკის ბავშვთა სიები, დახმარება ეწევათ ფრონტელთა ბავშვებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების შეძენაში. მნიშვნელოვანი მუშაობა არის გაწეული ახალი სახელმძღვანელოების გამოცემის, ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის, სასწავლო ნივთების გამოშვების საქმეში. ბევრი სკოლა უზრუნველყოფილია სათბობით. სკოლების უდიდესი უმრავლესობა დაკომპლექტებულია მასწავლებლებით.

ახლა საქმე ეხება მთელი მუშაობის დამთავრებას და იმ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ ლიკვიდაციას, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასწავლო წლისათვის მზადებაში. სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბოლნისის, ხობის, სამტრედიის რაიონებში. ყაზბეგის და თბილისის რაიონებს სკოლების უმეტესი ნაწილის რემონტი ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ, ყარაიაში — 15 სასკოლო შენობიდან რემონტი დამთავრებულია 5-ში. არასწორად არის ჩატარებული სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ყვარლის, სტალინირის, ქარელის რაიონებში. ბორჩალოს, კასპის, ცხაკაიას რაიონებმა ვერ შეასრულეს ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა და არ მიუღიათ ზომები სკოლების სათბობით მომარაგებისათვის. ჩამორჩენა არის სასწავლო ნივთების გამოშვების გეგმის შესრულებაშიც. სკოლებს აკლიათ 400-მდე მასწავლებელი.

აქედან ცხადია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და მარტო განათლების ორგანოების ძალები საკმაო არ იქნება დასახული ამოცანის გადაჭრისათვის. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროულად დასამთავრებლად გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების აქტივობას სკოლებისათვის საჭირო დახმარების გაწევის საქმეში.

მშვენიერ ინიციატივას იჩენენ მრავალ ადგილას. გურჯაანის რაიონის სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ თავისი ძალებით ახალი შენობა აუშენა სკოლას და 50 კუბმეტრი შეშით მოამარაგა. ამავე რაიონის სოფელ ჯიმითის კოლმეურნეებმა სკოლას გაურემონტეს 8 ოთახი, 43 მერხი, 3 დაფა, 7 მაგიდა, 11 სკამი და მიუზიდეს 100 კუბმეტრი შეშა. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლას შეუკეთა 80 და შეუღება 120 მერხი, გაურემონტა ფანჯრები, მაგიდები, დაფები, ელექტროგაყვანილობა, გაუკეთა 40 ცალი სასწავლო ხელყუმბარა, შეუთეთრა საკლასო ოთახებს კედლები, შეუგროვა სტაბილური სახელმძღვანელოები, სკოლის სახელოსნოს გაუგზავნა 45 სხვადასხვა სახის იარაღი.

ასეთი მაგალითები ცოტა როდია. სადაც პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უდგანან მასების შემოქმედებით ინიციატივას, იქ სიძნელეებსაც წარმატებით სძლევენ და სკოლაც უკვე მზად არის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრიობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში. მაშინ მზადების წარმატებით დამთავრებაც გაგვიადვილდება.

პარტია, მთავრობა, პირადად დიდი **სტალინი** უდიდეს მზრუნველობას იჩენენ სკოლისა და მასწავლებლისადმი. ომით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, სამშობლომ სკოლებს ყველა პირობა შეუქმნა ახალგაზრდობის სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ასამაღლებლად, მცოდნე, კულტურული საბჭოთა პატრიოტების აღზრდისათვის. ახლა ჩვენზე არის დამოკიდებული უნარიანად გამოვიყენოთ ეს პირობები, მომზადებული შეკვხვდეთ სწავლის დაწყებას, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს სკოლის მუშაობაში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
26 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

26 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ **ტარტუს** ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **რიმუ**, **ტაიდლა**, **მარამა**, **ვაზულა**, **კუხტალევა**, **ფიუშირი** და რკინიგზის სადგურები **ტიქსოია**, **კიარძნა**.

ქალაქ **ვალგის** ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ვერევი**, **რანუ**, **კალუკელნე**, **კოროსტე**, **კუკა**, **პრიიპალუ**, **ლოტა** და რკინიგზის სადგურები **პალუპერა**, **კუკა**, **ფიაგისტე**, **კეენი**.

ქალაქ **ივლისკას** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშები.

ქალაქ **პრაგის** ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშები, და კონტრიერიშების შედეგად დაიკავეს დასახლებული პუნქტები **კულიგუვი**, **ზალუბიცე**, **ნოვე**, **ოსტრუვეკი**, **კოლაკუკი**, **გუზოვატკა**, **ხაიენტი**, **ვოლია რაშტოვსკა**.

შკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები ქალაქ **რომანის** დასავლეთით და სამხრეთით განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ქალაქები **ბუხუსი**, **ონეშტი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ნუბრეშტი**, **სლობოზია**, **ზანეშტი**, **ბორლეშტი**, **რედიუ**, **სკოროცენი**, **მოინეშტი**, **გუძეშტი**, **ბერზუნეცი** და რკინიგზის სადგურები **პიატრა**, **როსნოვი**, **პოდოლეი**, **ბუხუსი**, **ხეშეიუში**, **მოინეშტი**, **ონეშტი**.

ქალაქ **ფოკშანის** ჩრდილოეთით იმავე ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის საკვანძო სადგური **აჯუდ ნოუა**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პოიანა**, **ფანტინი**, **ტირგუულ ნიკოლაეშტი**, **პუცენი**.

26 აგვისტოს განმავლობაში **შკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებს სრული შემადგენლობით დანებდნენ ტყვედ რუმინელთა 1-ლი, 1-ლი გვარდიის, მე-8, მე-13 ქვეითი დივიზიები და 1-ლი სატანკო დივიზია. გარდა ამისა, ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 10 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

შკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ანვითარებდნენ, იერიშით დაიკავეს უკრაინის საოლქო ცენტრი ქალაქი და სიმაგრე **იზმაილი**, აგრეთვე მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მდინარე **დუნაის** მარცხენა ნაპირი მდინარე **პრუტის** შესართავიდან **დუნაის** კილის გირლის შესართავამდე, ამასთან დაიკავეს იზმაილის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **რენი** და ქალაქი **ბოლგრადი**.

შკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა 26 აგვისტოს განმავლობაში ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 21 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთა უმრავლესობას გერმანელები შეადგენენ.

კიშინიოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმული დაჯგუფების სალიკვიდაციოდ. შეუპოვარი ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის დაჯგუფება დაქსაქსულ ნაწილებად დაჭეცმაცეს, ამასთან დაიკავეს დასახლებული პუნქტები **სპარიეცი**, **ლოგანეშტი**, **ფირლადინი**, **სარატა გალბენა**. გრძელდება ბრძოლები მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯგუფების მოსახპობად.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

25 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 86 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 79 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ **ვალგის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ფართო ფრონტით გავიდნენ ვირტა-იარვის ტბის აღმოსავლეთ ნაპირთან. გერმანელთა დაქსაქსული ჯგუფები ტბასთან მიმწყვდეულ და მოსპობილ იქნენ. 6 შენაერთის ნაწილები ბრძოლას ეწეოდნენ სს-ელთა სატანკო ბრიგადა „გერონთან“, ამასთან მოსპეს მოწინააღმდეგის 24 ტანკი. ჩვენი ჯარები შეტევას ანვითარებდნენ სამხრეთ მიმართულებით და წინ წაიწიეს 20 კილომეტრით. დაკავებულია გზების კვანძი—დაბა **პუკა**. საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები.

* * *

ქალაქ **იელგავის** (მიტავა) სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა გადაჯგუფეს და შეაჯახეს უკანასკნელ ბრძოლებში შებერტყილი თავიანთი დივიზიები და დღის განმავლობაში თერმეტჯერ მოიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მოიგერიეს ყველა იერიში და ეკუბგდეს მოწინააღმდეგე. ბრძოლის ველზე დარჩა 600-ზე მეტი მოკლული ჰიტლერელი. ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ცეცხლით და ქვეითი ჯარის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 29 ტანკი.

ჩვენი ბომბდამშენები და მოიერიშენი მასირებულად ურტყამდნენ მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობებს. მოსპობილი და დაზიანებულია რამდენიმე ტანკი, 140 ავტომანქანა და საზიდარი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 43 თვითმფრინავი.

* * *

პრაგის (ვარშავის გარეუბანი მდინარე ვისლის მარჯვენა ნაპირზე) ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მტრის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა რამდენიმე უბანზე იერიშები მოიტანეს ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის იერიშები და კონტრდარტყმით განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ბრძოლის ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი, 28 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 18 საველე ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი და 65 ტყვიამფრქვევი. გერმანელებს წაართვეთ 16 ქვემეხი, მათ შორის 2 თვითმავალი ქვემეხი, 10 ნაღმსატყორცნი და სხვა დაკვლა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ **რომანის** დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები შეტევას ანვითარებდნენ და ფართო ფრონტით გავიდნენ მდინარე **ბისტრიცასთან**. საბჭოთა მებრძოლები გადავიდნენ მდინარეზე და დაიკავეს დასახლებული პუნქტი **რადიუ** მის დასავლეთ ნაპირზე. ქალაქ **რომანის** სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 30 კილომეტრზე და დაიკავეს **რეგნიგზენის** და გზატეხილების კვანძი —ქალაქი **ონეშტი**. ხელ ვიგდეთ დიდძალი დავლა.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები ქალაქ **ფოკშანის** ჩრდილოეთით გადავიდნენ მდინარე **სერეტზე** და იერიშით დაიკავეს ქალაქი **აჯუდ-ნოუა**. ფოკშანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს გზატეხილების კვანძი **პუცენი**. ამ რაიონში ბანადგურებული გერმანელთა ჯარები უწესრიგოდ იხევენ უკან და სტოვებენ თავიანთ საფურველს. ყოველ საათობით იზრდება ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების რიცხვი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილებმა, დუნაის ფლოტილიის დესანტთან ერთად, დაიკავეს ქალაქი **იზმაილი**—მძლავრი სიმაგრე დუნაიზე. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც სწრაფად მიიწევდნენ წინ, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქები **რენი** და **ბოლგრადი**. საზღვაო ქვეითი ჯარის დესანტებმა, ფრონტის ჯარებთან თანამოქმედებით, დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური **ვილკოვი** და „მოწინააღმდეგის მთელი რიგი სხვა დასაყრდენი პუნქტები. ამრიგად, ჩვენი ჯარები გავიდნენ დუნაისთან მდინარე **პრუტის** შესართავიდან კილის გირლის შესართავამდე, ხელთ ვიგდეთ დიდი საწყობები სამხედრო მასალისა და საჭურველისა.

* * *

ქალაქ **კიშინიოვის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელთა ჯარების გარშემორტყმული დაჯგუფების სალიკვიდაციოდ. მოწინააღმდეგემ კვლავ თავგანწირვით სცადა გაჭრილიყო გადასასვლელებისაკენ მდინარე **პრუტზე**, მაგრამ ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. საბჭოთა ქვეითებმა, ტანკისტებმა და არტილერისტებმა მოიგერიეს გერმანელთა ყველა იერიში, შემდეგ კი გამანადგურებლად დაარტყეს მათ. გერმანელთა დაჯგუფება დაქუცმაცებულია ერთიმეორისაგან იზოლირებულ ნაწილებად. მცირე უბნებზე მომწყვდეულ ჰიტლერელებს განუწყვეტლივ უშუნს არტილერია, ნაღმსატყორცნები და ურტყამს ბომბდამშენი და მოიერიშე ავიაცია. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. ტყვეების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ფრონტისპირა დასახლებული პუნქტები და ზურგისაკენ მიმავალი გზები გაჭედილია ტყვეთა კოლონებით.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაცია თავს დაესხა ნავსადგურებს ვარდეს და ვადსეს (ჩრდილეთ ნორვეგია). ბომბითი და საიერიშო დარტყმების შედეგად ჩაძირულია თორმეტი მოტობოტი და ერთი ბუქსირი. ნავსადგურებში დაზიანებულია ნავმისადგომები, ელექტროსადგურები და რამდენიმე საწყობი. ნავსადგურების ტერიტორიაზე დიდი ხანძრები გაჩნდა, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი. საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
პოლკოვნიკ ა. ბ. აბაშელის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით პოეტი ალექსანდრე ბესარიონის-ძე **აბაშელი** დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 25 აგვისტო.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მწერალ ი. გ. გრიშაშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით მწერალი **იოსებ გრიგოლის-ძე გრიშაშვილი** დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 25 აგვისტო.

გვარდიის პოლკოვნიკ ნ. ი. კალაძის დაჯილდოება
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სახბრძოლო ოპერაციებს უნარიანი მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სუვოროვის, კუტუზოვის, ბოგდან ხმელნიცკის ორდენებით დაჯილდოვა წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფი. სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის **გვარდიის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანეს-ძე კალაძე.**

რუმინეთის ამბები

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განცხადებაში არსებული ცნობებით, ბუქარესტს მტკიცედ ინარჩუნებს რუმინეთია გენერალ სანატესკუს ახალი მთავრობა. გერმანიის [illegible] განგაზენის მეთაურობით და სხვა გერმანელები ინტერნირებულნი [illegible] შალი ანტონესკუ დაპატიმრებულია და გუშაგების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება მეფის სასახლეში.

მეფის დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ ბუქარესტში აღგილი ჰქონდა მღელვარე დემონსტრაციას, რომელიც მიესალმა ახალ მთავრობას. საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომელიც 24 აგვისტოს ღამით გამოქვეყნდა, რუმინეთში უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ.

გერმანელები საზენიტო ქვემეხებს ესროლიან ბუქარესტს, რადგან მათ აქ არა აქვთ სხვა არტილერია, და ჰაერიდან ბომბავენ სამხედრო ყაზარმების რაიონებს. ტრანსილვანიაში გერმანელები და უნგრელები გაფაციცებით აგებენ თავდაცვითს ნაგებობებს. რუმინეთის ჯარებმა დაიკავეს გასასვლელები კარპატებისაკენ და ბრძოლას ეწევიან გერმანელების წინააღმდეგ, რომლებიც უკან იხევენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან დასავლეთისაკენ. არის ცნობები, თითქოს გერმანელები ცდილობენ შეჰქმნან რუმინეთის მარიონეტული „მთავრობა“ ფაშისტური ორგანიზაციის „რკინის გვარდიის“ ლიდერის ხორია სიმას მეთაურობით.

25 აგვისტოს რუმინეთის დესანმა ანკარაში კრეცეანუმ რუმინეთის მეფისა და რუმინეთის ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრ გენერალ სანატესკუს მითითებით ინახულა საბჭოთა ელჩი ანკარაში ამხ. ვინოგრადოვი და გადასცა მას ნოტა, რომლითაც რუმინეთის მთავრობა ატყობინებს საბჭოთა მთავრობას, რომ რუმინეთის მეფემ გადააყენა მარშალ ანტონესკუს მთავრობა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა გენერალი სანატესკუ. ნოტაში ნათქვამია, რომ ახალი მთავრობა წარმოადგენს ნაციონალურ კავშირს, რომელშიც წარმოდგენილი არიან ოთხი პოლიტიკური პარტიის მეთაურები, პარტიებისა, რომლებიც შეადგენენ ნაციონალურ-დემოკრატიულ ბლოკს: მანიუ, ბრატიანუ, ლუკრეცი პატრუშკანუ და ჰეტრესკუ. ახალმა მთავრობამ, ნათქვამია შემდეგ ნოტაში, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი დროებითს ზავს და რუმინეთის ყველა ძალების დახმარებით შეუდგეს რუმინეთის ტერიტორიაზე მყოფი ყველა გერმანელის სრულ გაძევებას.

მდგომარეობა ბულგარეთში

26 აგვისტოს ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა დრაგანოვმა საბჭოთა საქმეთა რწმუნებულს ბულგარეთში ამხ. კირსანოვს ბულგარეთის მთავრობის სახელით განუცხადა, რომ ბულგარეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბულგარეთის სრული ნეიტრალიტეტის შესახებ. ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა დრაგანოვმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ჯარები, რომლებიც რუმინეთში იმყოფებიან უკან დაიხევენ ბულგარეთის ტერიტორიაზე, ისინი განიარაღებული იქნებიან და მათ მოეპყრობიან ჰაგის კონვენციის თანახმად. რაც შეეხება გერმანიის ჯარებს, რომლებიც ბულგარეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, როგორც ბ-ნმა დრაგანოვმა განაცხადა, ბულგარეთის მთავრობამ 25 აგვისტოს გერმანიის მთავრობისა და სამხედრო სარდლობის წინაშე დააყენა საკითხი ამ ჯარების გაყვანის შესახებ ბულგარეთიდან. ბ-ნმა დრაგანოვმა განაცხადა აგრეთვე, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები უარს განაცხადებენ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ბულგარეთიდან, ისინი განიარაღებული იქნებიან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო

ცნობა
დროებითი ზავის პირობების შესახებ, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ რუმინეთს წარუდგინა 1944 წლის აპრილში

1944 წლის 12 აპრილს საბჭოთა მთავრობამ რუმინეთის მარშალ ანტონესკუს მთავრობას წარუდგინა რუმინეთთან დროებითი ზავის შემდეგი ექვსი პირობა:

1. კავშირის გაწყვეტა გერმანელებთან და რუმინეთის ჯარებისა და მოკავშირეთა ჯარების, მათ შორის აგრეთვე წითელი არმიის, ერთობლივი ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ რუმინეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის მიზნით.

2. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის საზღვრის აღდგენა 1940 წლის ხელშეკრულების მიხედვით.

3. იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მოუვიდა საბჭოთა კავშირს საომარი მოქმედებითა და რუმინეთის მიერ საბჭოთა ტერიტორიის ოკუპაციით.

4. საბჭოთა და მოკავშირეების ყველა სამხედრო ტყვისა და ინტერნირებულის დაბრუნება.

5. საბჭოთა ჯარებისათვის, ისევე როგორც სხვა მოკავშირე ჯარებისათვის, შესაძლებლობათა უზრუნველყოფა — თავისუფლად იმოძრაონ რუმინეთის ტერიტორიაზე ყველა მიმართულებით, თუ ამას მოითხოვს სამხედრო ვითარება, ამასთან რუმინეთის მთავრობამ ამას ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მიმოსვლის თავისი საშუალებებით, როგორც ხმელეთსა და წყალზე, ისე ჰაერში.

6. საბჭოთა მთავრობის თანხმობა ვენის არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებაზე ტრანსილვანიის შესახებ და დახმარების აღმოჩენა ტრანსილვანიის განთავისუფლების საქმეში.

ეს პირობები რუმინეთის მარშალ ანტონესკუს ყოფილი მთავრობის მიერ უარყოფილ იქნა.

რუმინეთის მეფემ მიხეილმა და რუმინეთის გენერალ სანატესკოს ახალმა მთავრობამ თანხმობა განაცხადეს მიიღონ ეს პირობები. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები
რუმინეთის ამბების გამო

ჟენევა, 26 აგვისტო (საკდესი). ბუქარესტის რადიომ ბუშინ საღამოს გამოაცხადა:

„დღეს გერმანელთა მოპიკირე ბომბდამშენების მასობრივი თავდასხმის შემდეგ გერმანელთა ჯარები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ბენეასის (ბუქარესტის მახლობლად) აეროდრომი. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა სამეფო გვარდიის პოლკების მიერ, ამასთან გერმანელებს მეტად მძიმე ზარალი მოუვიდათ. გერმანელთა მძიმე ქვეითებითა და მანქანებით გაჭედილია ბენეასიდან ბუქარესტში მიმავალი გზები. სოფელი ბენეასა და აეროდრომი ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამრიგად, სატახტო ქალაქი გაწმენდილია გერმანელთა ნაწილებისაგან, რომელთაგან მრავალი მთლიანად იქნა მოსპობილი. ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, გერმანელთა უკანასკნელი გამაგრებული პუნქტები რუმინეთში ჩვენს ხელში გადმოდის. გერმანელი ჯარისკაცები მთელი ჯგუფებით ჰყრიან იარაღს და ნებდებიან ჩვენს ნაწილებს“.

რუმინეთის გენერალური შტაბის ცნობა

ბუქარესტი, 26 აგვისტო (საკდესი). როგორც რუმინეთის რადიო გადმოგვცემს, რუმინეთის არმიის გენერალური შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ 24 აგვისტოს გერმანელთა ნაწილებმა დაიწყეს იერიშების მიტანა ბუქარესტზე. 24 და 25 აგვისტოს განმავლობაში გერმანელთა ავიაციამ ინტენსიურად დაბომბა ქალაქი. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში. ჩამოგდებულია გერმანელთა 7 თვითმფრინავი. 25 აგვისტოს განმავლობაში რუმინეთის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა წინააღმდეგობის ყველა ცალი ბუქარესტში. ხელთ იგდეს 4.000 ტყვე და დიდძალი დავლა. რუმინეთის ჯარები განაგრძობდნენ ოპერაციებს სატახტო ქალაქის ირგვლივ გერმანელთა დაქსაქსული ჯგუფების სალიკვიდაციოდ.

ბულგარეთის მთავრობის პოზიციისათვის

სოფია, 26 აგვისტო (საკდესი). დღეს საღამოს სოფიის რადიოსადგურმა შეაგ

ქართველი ხალხის ფრთოსანი რაინდი

„ჯურტყათ მტერს სანამ ძალლონე შეგვწევს, ჯურტყათ სანამ ძარღვებში სისხლი ჩქეფს, სანამ გული სცემს“—ასეთი იყო ბოლშევიკი მეომრის, საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანის საბრძოლო დევიზი. მისი ცხოვრება და სიკვდილი — სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის შესანიშნავი მაგალითია.

* * *

უკრაინის თვალუწვდენ ველზე, თვალწარმტაც სოფელ ბიტენში, სადაც ივლისის დღეებში ჰყვავის სურნელოვანი აკაცია, სადაც შრიალებენ წაბლის ხეები და მათი ეკლიანი ნაყოფით მოფენილია ნოყიერი მიწა, აღმართულია პატარა ბორცვი. ეს არის გმირი მეფრინავის საფლავი. იგი დაკრძალეს ორ საჰაერო ბრძოლას შუა მისმა ამხანაგებმა და თანამებრძოლებმა. აქ, ამ საფლავზე მათ ფიცი დასდეს სამშობლოსათვის თავგანწირულ, საბჭოთა კავშირის გმირის, გვარდიის მაიორ ბენდელიანის დალუპვისათვის მოსპონ ათ-ათი გერმანელი სვიე თვითეულმა. ამ დროს ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა საარტილერიო ზალპებისაგან. მიწა გუგუნებდა ავიაბომბების დაცემისაგან. იქვე ახლო სწარმოებდა დიდი ბრძოლა ჩვენი სიცოცხლისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის. ცაში სრიალებდნენ ჩვენი ავიაგამანადგურებლები.

ფუშინ ისიც მწყობრში იყო თავისი წითელარსკვლავიანი თვითმფრინავით. მას მიჰყვებოდნენ ბრძოლაში მისი მეგობრები, მისი აღზრდილი მფრინავები. ამხანაგებს აგონდებათ: მას სურდა სიცოცხლე და მტერთან ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე. ამატომაც მას უზომოდ უჭარიდა ჩვენი წარმატებები და დაუნდობლად ანადგურებდა მტერს.

* * *

დაიწყო ომი. ბრძოლები სწარმოებდა დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე. ღია ფერის თვალებიანი ქართველი ჭაბუკისათვის დაიწყო საბრძოლო დღეები. ამ დროს ჭიჭიკო ბენდელიანი იყო ლეიტენანტი, ოგროლის მეთაური. მან მიიღო მეთაურის პირველი საბრძოლო ბრძანება და ღირსეულად შეასრულა იგი ბოლომდე.

ქალაქ კიევისათვის საჰაერო ბრძოლებში 1941 წლის 18 აგვისტოს მან ჩამოაგდო ფაშისტი „ასსი“ და ამით გახსნა თავისი საბრძოლო ანგარიში. ხარკოვთან საჰაერო ბრძოლებში ბენდელიანი იბრძოდა მტრის რჩეული „ასსების“ წინააღმდეგ და მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. 1942 წლის 10 მაისს ჩვენმა ოთხმა ავიაგამანადგურებელმა მფრინავ ბენდელიანის მეთაურობით შესანიშნავი ბრძოლა ჩაატარა მტრის 26 თვითმფრინავთან. ბრძოლამ 30 წუთს გასტანა. ჩამოგდებულ იქნა მტრის 3 თვითმფრინავი, რისთვისაც ამ ბრძოლის თვითეული მონაწილე და მათ შორის ბენდელიანიც დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

1942 წლის ზაფხული. სტალინგრადის დაცვისათვის მძაფრ საჰაერო ბრძოლებში ბენდელიანი პირადი მაგალითით აღფრთოვანებდა თავის მფრინავებს უაღრესად პასუხსაგები დავალებების შესასრულებლად. ამ ბრძოლებში მის მფრინავთა ჯგუფს ხშირად უხდებოდა გერმანელთა „განთქმულ“ კორპუს „რიხტჰოფენის“ დარტყმების მოგერიება. ფაშისტი ასეგები, რომლებსაც რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდათ, თავდაპირველად თავხედურად იქცეოდნენ, მაგრამ საბჭოთა მფრინავებმა და მათ შორის მამაცმა შეკრიდენმა ჭიჭიკო ბენდელიანმა მალე დაუკარგეს მათ ბრძოლის ხალისი!

1942 წლის 18 სექტემბერს ბენდელიანს და უფროს ლეიტენანტ ბუზნოს „იაკოვლევის“ თვითმფრინავებით მოუხდათ საჰაერო ბრძოლა „რიხტჰოფენის“ ჯგუფის რვა ფაშისტი „ასსის“ წინააღმდეგ. ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულ იქნა ორი „მესერშმიტი-109“.

მაიორ ბენდელიანს ჰქონდა ასეთი შემთხვევაც. იგი სცდიდა ნაწილში ახალმოსული ახალგაზრდა მფრინავის მანევრს. ამ დროს მან შეამჩნია მტრის 4 თვითმფრინავი. მტერმა მასზე იერიში მოიტანა. ბენდელიანი ღრუბლებში ავარდა, ფაშისტები გამოუდგნენ. მაშინ მაიორმა უმატა სისწრაფეს, ისე მოაჩვენა გერმანელებს, თითქოს გაქცევას აპირებსო და მოექცა ღრუბლების თხელი ფენის თავზე. წამყვანმა „მესერშმიტმა“ თავი მიანება თავის ამხანაგებს. მას უნდოდა მარტოკას მოეპოვებინა გამარჯვება. ფაშისტს ეგონა, რომ საქმე ჰქონდა გამოუცდელ მფრინავთან. ბენდელიანმა უფრო დაუჯერა ამაში იმით, რომ განგებ რამდენიმე არასწორი მოძრაობა გააკეთა. როდესაც გერმანელი თავის ამხანაგებს კარგა მანძილით დაშორდა, ბენდელიანმა უცებ მოატრუნა თვითმფრინავი 180 გრადუსით. ამას ფაშისტი არ მოელოდა. მან არ იცოდა, რომ მის წინ საჰაერო ბრძოლის ვირტუოზი იყო.

ბენდელიანმა დიდხანს არ აცალა ფაშისტს გოაცება, რამდენიმე დარტყმით ჩამოაგდო და გაექანა თავის აეროდრომისაკენ.

* * *

ბენდელიანმა თვითმფრინავიდან ძირს გადმოიხედა. გამოცდილმა თვალმა შეამჩნია აფეთქების კვამლის ბოლქვები. ვიღაც ბომბავდა ჩვენს ტერიტორიას. ბენდელიანმა მიიხედ-მოიხედა — ფაშისტი ბომბდამშენი თითქმის მის გვერდით მოფრინავდა, ღრუბლების ქიმს მიჰკვროდა. ეს იყო „იუნკერს-88“. მისმა ეკიპაჟმა ვერ შეამჩნია საბჭოთა ავიაგამანადგურებელი. ბენდელიანი ფრთხილად მივიდა ძალიან ახლოს და ბომბდამშენის მოტორს დააყარა მსხვილყალიბიანი ტყვიების ჯერი. „იუნკერსმა“ მაშინვე ვარდნა დაიწყო. გერმანელი მფრინავები პარაშუტებით გადმოხტნენ. ბენდელიანი მათ მიჰყვა თითქმის მიწამდე და, როცა დარწმუნდა, რომ პარაშუტისტები პირდაპირ ჩვენი მებრძოლების ხიშტებზე დაეშვნენ, წავიდა თავის აეროდრომზე.

ამ მამაცობისათვის, ბენდელიანი დაჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით ბრძოლებში თვითმფრინავთა ჯგუფი ბენდელიანის მეთაურობით გავიდა ჩვენი ჯარების დასაფარავად. პატრულირების რაიონში მათ შეხვდა მტრის 140-მდე ბომბდამშენი, რომლებსაც იფარავდა 20 ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190“. ბენდელიანმა გამოიყენა ღრუბლიანობა, თავისი ჯგუფით ფარულად, შეუ-

ჩინევლად მივიდა მათთან და იერიში მიიტანა მეწინავე ჯგუფზე. პირადად ბენდელიანმა პირველსავე იერიშით ჩამოაგდო მთელი ჯგუფის მეწინავე ბომბდამშენი „იუნკერს-87“, მტრის დანარჩენმა ბომბდამშენებმა დაიწყეს ბომბების უწესრიგოდ ჩამოყრა თავისივე ჯარების თავზე და მცელავი ფრენით წავიდნენ თავიანთი ტერიტორიისაკენ. ამ ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის 4 თვითმფრინავი.

სულ ომის განმავლობაში მაიორმა ბენდელიანმა მოახდინა 460 საბრძოლო გაფრენა, გადაიხადა მტრის თვითმფრინავებთან 92 საჰაერო ბრძოლა, რის შედეგად ჩამოაგდო პირადად 12 და ჯგუფურ ბრძოლებში 13 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მან 100-მდე იერიში მიიტანა მტრის აეროდრომებზე და ჯარებზე, რის შედეგად მოსპო 3 თვითმფრინავი, 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ცისტერნა საწვავიანად, 8 ავტომანქანა, 20 საზიდარი ტყორთიანად და მტრის 2 ბატარიის ბუნდი.

მაიორ ბენდელიანს მიენიჭა საპატიო სახელი — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ლენინის ორი ორდენი, მედალი „ოქროს ვარსკვლავი“, წითელი დროშის ორდენი, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები და მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“ ამშვენებდნენ გმირის მკერდს.

* * *

1944 წლის ზაფხული. წითელი არმია წარმატებით უტევს ფრონტის ყველა უბანზე, ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მიერეკება გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ამ გადამწყვეტ შეტევაშიც გვარდიის მაიორმა ბენდელიანმა თავი გამოიჩინა როგორც ჩვენი სამშობლოს ნამდვილმა გმირმა. მთელმა ფრონტმა ი კოდ მისი საგმირო საქმეები.

1944 წლის 20 ივლისს, მდინარე ბუგის გადალახვისას და ქალაქების ხოლმისა და ლუბლინის დაკავებისათვის ბრძოლებში, ბენდელიანის ჯგუფს დავალებული ჰქონდა მოიერიშეთა თანმხლება და დაფარვა. მიზანთან მიახლოებისას მოიერიშეთა და გამანადგურებელთა ჯგუფს თავს დაესხა მტრის 12 თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-190“. გაჩაღდა მძაფრი საჰაერო ბრძოლა. თუნდაც სიცოცხლის ფასად, არ უნდა მოვუშვათ მტერი თავისი საზიზღარი ზრახვების შესასრულებლად, — ასეთი იყო ჯგუფის მეთაურის მაიორ ბენდელიანის გადაწყვეტილება, და ეს ამოცანა მან კიდეევაც შეასრულა. იგი საიმედოდ იფარავდა ჩვენს მოიერიშეებს და ამავე დროს ებრძოდა მტრის ავიაგამანადგურებლებს, ყოველ მხარეს ხვდებოდა მათ საშინელი ცეცხლით.

ამ უთანასწორო ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაიცა მებრძოლი მეთაური და ამხანაგი მაიორი ჭიჭიკო ბენდელიანი.

* * *

ბაკურნი და განრისხებულნი ვიდექით კუბოსთან. ყოველი ჩვენგანი მწარედ განიცდიდა საყვარელი, სიცოცხლით სავსე, მტაცე მეთაურის და ამხანაგის დაკარგვას. ჩვენთან ერთად იგი არაერთხელ წასულა ბრძოლაში, გვამხნევებდა და აღგვაფრთოვანებდა თავისი მამაცობით, ბრძოლის შესანიშნავი ხერხებით, მაღალი საფრენოსნო ოსტატობით.

ჩვენ შურს ვიძიებთ საზიზღარ მტერზე საბჭოთა კავშირის გმირ გვარდიის მაიორ ბენდელიანის სიკვდილისათვის, საბჭოთა ადამიანების სისხლისა და მწუხარებისათვის.

* * *

გაივლის დრო. დამთავრდება ბრძოლები. ჩვენი ქვეყანა მოიშუშებს ომით მოყენებულ ჭრილობებს. უკრაინულ სოფელში საფლავზე მივლენ ბრძოლების ცეცხლში გამოზრდილი ქალიშვილები და ჭაბუკები. ისინი პატივისცემის, სიყვარულისა და მადლობის ნიშნად გვირგვინებით შეამკობენ სტალინური შევარდნის საფლავს, ომის საფლავს, ვინც თავისი მშვენიერი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს ბედნიერებას.

გაივლის წლები. სამამულო ომის მატიანეში ჩაიწერება ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, სამამულო ომის გმირის ჭიჭიკო ყაისარის-ძე ბენდელიანის სახელი.

ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო არასოდეს დაივიწყებს ქართველი ხალხის ამ უშიშარ ფრთოსან რაინდს!

ჩვენ კი, მფრინავები, დაუნდობლად ვიძიებთ შურს მტერზე ჩვენი მებრძოლი მეთაურის და ამხანაგის სიკვდილისათვის.

მფრინავები: გვარდიის პოდპოლკოვნიკი **მელნიკოვი**
გვარდიის მაიორი **კოზელეცკი**
გვარდიის მაიორი **ვეხხოვსკი**
საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის კაპიტანი **რივკინი**
საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის კაპიტანი **ბალიუკი**
საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის ლეიტენანტი **პოლიაკოვი**

გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელის უკვდავყოფა

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ქალაქ ბერდიჩევის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის ჯარები. სახელოვანი მხედართმთავრის სახელის უკვდავსაყოფად მშრომელთა დეპუტატების ბერდიჩევის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ბერდიჩევის საქალაქო თეატრს ეწოდა გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელი, ხოლო სასწავლებლის ქუჩას და შესახვევს ეწოდა გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ქუჩა და შესახვევი.

მგრის კვაღდაკვაღ

ზღვისპირეთის არმია შემდგომი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. ამ არმიაში შედიოდა ანაპის დივიზია, რომელსაც გენერალ-მაიორი ვალერიან ძაბახიძე მეთაურობს. ჩვენმა მებრძოლებმა გადალახეს ქერჩის სრუტე და ჰტერს გამოპკლიჯეს ხელიდან ყირიმზე შესატევად მოსამზადებელი პლაცდარმი.

ეს პლაცდარმი ვიწრო და ფრძელი იყო. სწორედ აქ გამოიჩინეს ბრძოლაში დახელოვნების შეუდარებელი ნიმუშები არტილერიის პოლკოვნიკ გაფრინდაშვილის ოფიცრებმა და სერჟანტებმა ვანო დავითაშვილმა, კვეზერელმა, შოთა ნანიტაშვილმა, სიმონ პაქსაშვილმა, მიხა სარიშვილმა, ბატიშვილმა, უმცროსმა ლეიტენანტმა სულიკო რამიშვილმა და ქვეგანაყოფის მთელმა შემადგენლობამ.

მათ ოსტატურად შენიღბეს თავისი ქვემეხები და მტრის რკინაბეტონის სიმაგრეებს აუცდენლად ახვედრებდნენ ყუმბარებს. ასე გადახნეს, გულ-ღვიძლი ამოუბრუნეს მიტრიდატის გორას.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ქართველი არტილერისტები ერთი წუთის მოსვენებას არ აძლევდნენ მტერს, რომელიც ამოდ ისროდა სამაგიერო ყუმბარებს.

ბევრჯერ სცადეს გერმანელებმა შეჯავშნული მუშტის იერიშები. უპირატესობა ჰქონდათ. მათ ხელში მთელი ყირიმი იყო. ქართველ მეომრებს კი სიგანით რვა კილომეტრი და სიღრმით სამი კილომეტრი პოზიცია ეკავათ. მიუხედავად უპირატესობისა, ჰიტლერელები ვერაფერს ხდებოდნენ. ჩვენი არტილერისტები ზუსტი ცეცხლით ძირშივე ჰკვეთდნენ ჰტრის ყოველგვარ განზრახვას.

— მგონი ტყვია ვეღარაფერს გაკლებთ,— აცხადებდნენ ტყვეები. მათ არ ესმოდათ, რომ ახლა ბრძოლის ბედს სწყვეტდა ბრძოლაში დახელოვნება, უხვი ტექნიკა, გამარჯვების ღრმა რწმენა და ინიციატივა.

მტერი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა აღმოეჩინა და მოესპო ჩვენი ქვემეხები.

ერთ დილას, არტილერისტ სიმონ პაქსაშვილს სიფაქრში გული აღარ დაუდგა და წინა ხაზისაკენ გაეშურა. ამ მზიანი გაზაფხულის დღეს მოსწყურდა თვალი გადაეყლო ქერჩის შემწვანებული მდელოებისათვის. ეს მიდამო ძლიერ აგონებდა მას ქვიშხეთსა და სურამს, შორის ბალდაჩიულ მინდვრებს, სადაც პაქსაშვილი დაბადა და გაიზარდა.

უეცრად ხმაური შემოესმა. გაიხედა. ჩვენი შენაერთის ხაზის წინ მიხოსავდა მტრის „ფერდინანდი“. ხან ავზს უჩვენებდა ჩვენს განლაგებას, ხან მუხლუხებს. ძლიერ თამამად იქცეოდა. სწრაფად მოიხედა პაქსაშვილმა თავისი ბატარიისაკენ. გუნდი ელვის სისწრაფით მიარბენინებდა ყუმბარებს.

— არ ესროლოთ!—გადასძახა მათ პაქსაშვილმა.—მტერს უნდა ჩვენი საარტილერიო ცეცხლი გამოიწვიოს, აღმოგვაჩინოს და გაგვანადგუროს.

მებრძოლები უმალვე შეიგნენ.

ერთი მებრძოლი ტანსაწინააღმდეგო ყუმბარით გაცოცდა „ფერდინანდისაკენ“. ყუმბარამ მალე იგრიალა და „ფერდინანდს“ მუხლუხი მოპგლიჯა, ნავთობის თაკარასა და მეგარტლში გაეხვია.

— ეგეც შენ, ფრიცო!—ვინც მოგიტყუებია, ის მოატყუე,—ზიაძახა პაქსაშვილმა და თავის ბატარიას მიაშურა.

დილიდანვე გაჩაღდა მძაფრი საარტილერიო დუელი. კანონადა მხოლოდ ნაშუადღევს მიწყდა. გერმანელებს ხუმ ჩაეშუდათ. ცის გუმბათში თავისუფლად ნავარდობდნენ საბჭოთა ავიაციის სიამაყე „იაკები“. ქერჩის სრუტის ნაპირებზე გამოჩნდნენ ტანსაცმელშემოგლეჯილი გერმანელები: უთვალავნი, თავიანურნული, მოდიოდნენ ქართველ მეავტომატეთა ბადრაგობით.

ბატარიასთან მოვიდა შტაბის ოფიცერი შოთა ნანიტაშვილი.

იგი ისევე ჩქარა გაჰქრა, როგორც მოვიდა.

გაიცა ბრძანება საარტილერიო ქვეგანაყოფი აშლილიყო მტრის დასადევნებლად. ამბაარდნენ საწვერები, აგუგულნდნენ სატვირთო ავტომანქანები. რამდენიმე წუთში მთელი არტილერია ფეხდაფეხ მიჰყვა ქვეითი ჯარს.

ასპიტი მტერი გარბოდა, ხანდახან წამით შედგებოდა, რათა ოდნავ მაინც შეეჩერებინა მდევარი და საშუალება მიეცა თავისი ნაწილებისათვის უკან დაეხიათ. ჯაშინ არტილერისტები ქვემეხებს ძირსგადმოუღებლად ესროდნენ მათ, ანადგურებდნენ და შეუკავებლად მიიწევდნენ წინ.

ყირიმის ოდესღაც განთქმულ ასფალტირებულ გზატკეცილებზე მოძრაობა ძნელდებოდა. ყოველი მოსახვევი ავსებული იყო მტრისაგან მიტოვებული დამსხვრეული და ჯარგისი ქვემეხებით, დამწვარ-დალეწილი ტანკეებით, დაცხრილული, მიწაზე დანარცხებული „მესერშმიტების“ ჩონჩხებით. მათ მახლობლად ასობით და ათასობით იდგნენ ხელებაწეული გერმანელები. ისინი ურცხვად ითხოვდნენ შებრალებას, სიცოცხლის შენარჩუნებას.

ეს სურათი გრძელდებოდა სევასტოპოლის მისადგომებამდე.

გენერალ-მაიორმა ვალერიან ძაბახიძემ სევასტოპოლის სიმაგრეზე იერიშის მიტანის სამზადისი სოფელ ჩურგუნში დაიწყო.

ქართველ მეომრებს ეს სოფელი და მისი მიდამო მოსწონდათ. ჩურგუნი ტყუპივით ჰგავს ხარაგოულის ვახლობელ სოფლებსა და კლდეკარებს.

ჩვენმა არტილერისტებმა თავისი დიდი ყალიბის ქვემეხები ავტოებით და საწევრებით ისეთ ღელე-ხრამებში გაატარეს, სადაც ყირიმელები ზამთრობით მხოლოდ მარხილით დადიოდნენ შეშაზე. ისინი შეეპარნენ მტერს სიღრმეში და მაღლობზე შეუჩნევლად ჩასაფრდნენ. აქედან პირდაპირ მოსჩანდა ბალაკლავის უბე, ხუტორი ზოლოტაია ბალკა და ის მცირე უღელტეხილი, სადაც ბალაკლავიდან და სევასტოპოლის კარებიდან მიმავალი გზები ერთმანეთს ხვდებიან საპუნ-გორაზე.

ამ უღელტეხილის საარტილერიო დამუშავება 7 მაისს დილით დაიწყეს ქართველმა არტილერისტებმა.

მტერს ბუნებრივი სიმაგრეებისათვის ორი წლის განმავლობაში მრავალად მიეტანებინა ხელოვნური რკინაბეტონის სიმაგრეები. ყოველი კლდის ძირში იდგნენ კრუპის ქარხნის ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და ნაღმსატყორცნები. ის მოედნები კი, საიდანაც გერმანელთა სარდლობა ვარაუდობდა, რომ საბჭოთა ქვეითები იერიშს მიიტანდნენ, ნაღმებით მოეფინათ.

არა, არასგზით არ ეგონათ გერმანელებს, თუ ადამიანს აღმოაჩნდებოდა ისეთი ძალა, რომ ამ დანაღმულ მოედნებსა და სიმაგრეებს არამც თუ გავლას, ახლოს გაკარებას, გაუბედავდა. როგორც ყოველთვის, გერმანელები ახლაც სცდებოდნენ.

— თქვენები თერთმეტ თვეს იცავდნენ სევასტოპოლს, ჩვენ მას თერთმეტ წელიწადს დავიცავთ,—ტრაბახობდნენ რეპრომოუტორებით საპუნ-გორის სიმაგრეებში ჩამძვრალი ჰიტლერელები.

საარტილერიო ცეცხლი გფრინდაშვილის ქვეგანაყოფმა ვეზობლებთან ერთად თვალის დახამხამებაში გააჩაღა. მაიორ შალვა ჯაბუას ვესანგრეები უჩინმაჩინის ჭუდით დაფარულებივით გაიპარნენ და დაფაცურდნენ დანაღმულ მინდვრებსა და ორწოხებში, რათა გზა გაეწმინდათ ქვეითებისათვის იერიშზე გადასასვლელად.

ქვეითებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ზოლოტაია ბალკაზე, თითო გოჯობით ჰგლეჯდნენ მტერს ხელიდან საბჭოთა მიწას.

მაშინ საარტილერიო ცეცხლის ოსტატებმა გადასწყვიტეს დაერტყათ მტრისათვის იქიდან, საიდანაც იგი მათ ცეცხლს არ მოელოდა.

კვეზერელმა, დავითაშვილმა, პაქსაშვილმა, ნანიტაშვილმა და მათმა ამხანაგებმა ღამით თავიანთ ბატარიას ადგილი გადაუნაცვლეს მტრის მიერ დანაღმულ მოედანზე, ფესანგრეების დაუხმარებლად ხელით ამოთხარეს და ამოყარეს მტრის ნაღმები.

ღამითვე წინ გადაიწია მაიორ ხარატიშვილის ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონმაც. 8 მაისს დილით კვლავ დაიწყო ქვემეხების პირდაპირი დამიზნების სროლა. უშიშარი მებრძოლები ქვემეხის ლაფეტებზე ისხდნენ და მარჯვედ უშენდნენ მტერს.

გერმანელებს არ სჯეროდათ, რომ ქართველი არტილერისტები მათ მიერ დანაღმული პოზიციიდან ისროდნენ.

პირველ საათზე ბრძოლამ უკიდურეს დაძაბულობას ეიაღწია.

მაიორმა ხარატიშვილმა წარმატებით მიიგერია მტრის ტანკების რამდენიმე შემოტევა, ზოლოტაია ბალკის ხეობა მათი ნამსხვრევებით აავსო.

დღის ორ საათზე გორგიშვილის ქვეითები სწრაფად ეიჭყვნენ ცეცხლის კედელს, ჩაუხტნენ მტერს ძელმიწურებში, რკინაბეტონის სიმაგრეებში, თავდაცვის პირველ ხაზებში, გაანაღეს ხელჩართული ბრძოლა.

ასე შეუნგრიეს გერმანელ დამპყრობლებს გულის ფიცარი ხარაგოულელებმა და ლაშისყალელებმა, დუშელებმა და ლეჩხუმელებმა, ლანჩხუთელებმა და ნიკორწმინდელებმა, გარეჯელებმა და ბანძელებმა, გალელებმა და ბარალეთელებმა, სუჯუნელებმა და საჩხერელებმა.

გერმანელებს ასეთი ცეცხლი არასოდეს არ ენახავთ.

საპუნ-გორის აღებამ სევასტოპოლის ბედი გადასწყვიტა. პოდპოლკოვნიკ ქანთარიას ქვეგანაყოფის მებრძოლებმა, ეოქმე ხალხების შვილებთან ერთად თავიანთი წითელი დროშა ააფრიალეს სევასტოპოლის შუაგულში და ჩაიხედეს შავი ზღვის მუქ სარკეში.

ბ. ჩხეიძე

ცალკე ზღვისპირეთის არმიის წითელარმიული გაზეთის „წინ სამშობლოსათვის“ რედაქციის კოლექტივი. **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): სერჟანტი კ. კუნთელია (ასოთამწყობი), უფროსი ლეიტენანტი ი. კეზერაშვილი (კორესპონდენტი), წითელარმიელი კ. სამუშია (კორექტორი), მაიორი ვ. ესაიაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), უფროსი ლეიტენანტი ნ. აგიაშვილი (მთარგმნელი), კონსტანტინე ლორთქიფანიძე (კორესპონდენტი), უფროსი სერჟანტი ვ. საგინაშვილი (ასოთამწყობი).

საარტილერიო დუელი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამ სათაურით გაზეთ „კრასნაია ფლოტში“ მოთავსებულია კაპიტან ანანიევის კორესპონდენცია ჩრდილოეთის ფლოტის რაიონში მტრის შორმსროლელ ბატარიასთან საარტილერიო დუელის შესახებ. სარდლობამ სანაპირო და საარმიო ბატარიებს დაავალა მწყობრიდან გამოეყვანათ ეს ბატარია.

ხოშინაალმდეგეს თავზარი დასცა ეფექტურმა ცეცხლმა. თავდასხმამ. ხან სასროფოდ იწყო თავისი ძალების გამოყენება ბრძოლაში. საარტილერიო ბრძოლა 6 საათს გაგრძელდა, რის შედეგად მტრის შორმსროლელი ბატარია გამოყვანილ იქნა მწყობრიდან.

ამ ბრძოლაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს არტილერისტმა მზვერავებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობს ოცეულის მეთაური დგებუძე.

საბჭოთა კავშირის გმირი ქართველი გალაქტიონ სამსონის-ძე რაზმაძე

საბჭოთა კავშირის გმირთა ოჯახს შეემატა ქართველი ხალხის კიდევ ერთი სახელოვანი შვილი—კაპიტანი გალაქტიონ სამსონის-ძე რაზმაძე.

გ. ს. რაზმაძე დაიბადა ონის რაიონის სოფელ წმენდაურში 1909 წელს. არასრული სა-

შუალო სკოლა დამთავრა ქალაქ ონში. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ონის რაიონში უბნის აგრონომად. 1937 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დარჩა ზემსახურად. წითელ არმიაში ამხ. რაზმაძემ დაჰყო 1940 წლამდე. აქ იგი საუკეთესოდ დაეუფლა სამხედრო საქმეს და ითელებოდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებით.

ფრიადოსნად. რაზმაძე ლენინური კომკავშირის წევრია 1928 წლიდან.

სამამულო ომი დაიწყო, რასაკვირველია, მიიღო ხანის ტბასთან ბრძოლებში. შემდეგ მონაწილეობდა თეთრეფინელებთან ომში. როგორც საუკეთესო მებრძოლი, წითელ არმიაში ყოფნის დროს მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. წითელი არმიიდან დამობილებისას გალაქტიონ რაზმაძეს სწავლა განაგრძო მილიციის სკოლაში, წარმატებით დამთავრა იგი და სამუშაოდ დატოვებულ იქნა მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოში.

სამამულო ომი რომ დაიწყო, რაზმაძემ რამდენჯერმე მიმართა სარდლობას გადაცემულიყო ფრონტზე გაეგზავნათ, რათა იარაღი ხელში კვლავ დაეცვა საყვარელი სამშობლო. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. 1942 წლის მარტიდან იგი სამამულო ომის ფრონტზეა. ახლა კაპიტანია და მეთაურობს საბრძოლო ქვეგანაყოფს.

გალაქტიონ რაზმაძემ შეასრულა სამშობლოსათვის მიცემული ფიცი. სამამულო ომის ფრონტზე გმირული ბრძოლისათვის სსრ კავშირის უმაღლესი სამბჭოს პრეზიდიუმის რეკომენდაციით მას მიენიჭა სამამულო ომის I ხარისხის ორდენი და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ონის რაიონის სოფელ წმენდაურის კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ წევრები ამაყობენ თავიანთი ვმირი თანამემამულით, რომელიც ვაჟკაცურად და თავდადებით იბრძვის ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მარო ბერიშვილი

გვარდიის პოლკოვნიკი ნ. ი. კალაძე



ნ. ი. კალაძე დაიბადა 1902 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. 1924 წლიდან იგი წითელი არმიის რიგებში იმყოფება.

საბრძოლო ნათლობა გვარდიის პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ივანეს-ძე კალაძემ პოლონელ პანებთან და თეთრფინელებთან ბრძოლებში მიიღო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მამაცმა ოფიცერმა თეთრფინელებთან ბრძოლებში, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით, ხოლო მისი დივიზიისა-ბით მებრძოლი — ორდენებითა და მედალებით.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. კალაძის დივიზია მაშინ დასავლეთ საზღვარზე იდგა. მძიმე თავდაცვითს ბრძოლებში გამოიწვრთნენ მისი მეომრები. ისინი დარტყმას დარტყმაზე აგემებდნენ ფაშისტ დამპყრობლებს, ქანცავდნენ და ანადგურებდნენ მათს ცოცხალ ძალას, სპობდნენ მათს ტექნიკას. შესანიშნავი საბრძოლო წარმატებებისათვის კალაძის დივიზია გარდაქმნილ იქნა გვარდიულ დივიზიად.

მტერთან ბრძოლაში არა ერთხელ ისახელეს თავი კალაძის მებრძოლებმა. სტალინგრადის გმირული დაცვის დროს მათ მარტო ერთ დღეს 600 გერმანელი ჩაიგდეს ტყვედ. სტალინგრადის ბრძოლებისათვის კალაძე დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“, ხოლო მისი დივიზიის შემადგენლობის 80 პროცენტი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო კალაძის დივიზიამ. წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად იგი კვალდაკვალ მისდევდა მტერს, არ აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას, უნარიანად ანადგურებდა მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ხარკოვის ოლქში ბრძოლების დროს კალაძის მებრძოლებმა ხელთ იგდეს მაღლობი, რომელიც მტრის დასაყრდენ კვანძად იყო გადაქცეული. ამ მაღლობის აღებით წითელ არმიის სხვა ნაწილებს წინ წაწევის საშუალება მიეცათ.

ამას წინათ ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის მეთაურობით იერიშით დაიკავეს ქალაქები სედლეცი, მინსკ-მაზოვეცკი და ლუკოვი—მტრის თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები ვარშავის მისადგომებზე. წითელი არმიის სხვა ნაწილებს შორის ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინა პოლკოვნიკ კალაძის დივიზიამაც, რისთვისაც მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მადლობა.

გვარდიის პოლკოვნიკ კალაძის დივიზია შესანიშნავი საბრძოლო წარმატებებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციათა შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის გვარდიის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანეს-ძე კალაძე დაჯილდოებულია სუვოროვის II ხარისხის ორდენით.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი
პ. ლომიძე
გვარდიის უფროსი ლეიტენანტი
ძ. ბოგვერაძე

სამგზის ორდენოსანი ა. დ. ღორთლიშვილი

ქვეგანაყოფს, სადაც პარტორგად არის ალექსანდრე დავითის-ძე ღორთლიშვილი, მრავალჯერ უსახელებია თავი მტერთან ბრძოლაში. ყოველ გადამწყვეტ უბანზე პარტორგი ღორთლიშვილი პირადი მაგალითით აღფრთოვანებდა მებრძოლებს და მუდამ გამარჯვებული გამოდიოდ

აგაშაში

ახალი ოდა

სოფელ ნოღა-ხაშში, ჩვეულებრივ დროს ერთ-ერთ ადამიანი იყო. ომში წასულისას თავის ოჯახს კოხტა ეზო, ძველი ოდა, 80 წლის ოდა და შვიდი წვრილი შვილი დაუტოვა. ოჯახზე უფროსი, მარლენი, მაშინ 11 წლისა იყო. გამოშშვიდობებისას თვალი გადააცურა ეზოს წიწილებივით თავმოყრილ შვილებს და ასეთი უთხრა:

— დღემდე დედა იყავი ამათი, ახლა მამაც ბატონ იქნები...

ამას შემდეგ სამი წელი გავიდა. ახლა რომ ბატონდეს აპოლონი, თავის სახლკარს ვერ აშენებს. ძველი ოდის ნაცვლად ახალი, მაღალი, ხუთოთახიანი ოდა წამოეშენებინა ეზოში, ეიშკარიც ახალი შეუბამთ.

— როგორ შესძელით ყოველივე ეს?— ეკითხე ელენეს.

— სუსტი მეგონა ჩემი თავი და ძლიერი აღმოჩენილვარ, — გაიღიმა ქალმა. — აბა აპოლონის ოჯახს წავაქცევდი? მაგრამ მარტო მე კი რას გავხდებოდი? კოლმეურნეობა დაგვეხმარა, ძალიან დამეხმარა.

კეთილი ძია

სოფელ გაღმა ზანათში წითელარმიელთა ოჯახებისათვის დახმარების კვირეულს ატარებდნენ. ილარიონ გუნიამ 80 კილოგრამი სიმინდი, 9 კილოგრამი ლობიო, 6 კილოგრამი ყველი, ერთი ქათამი და 30 კვერცხი მოიტანა. დახმარების განაწილება გეგმიანად ხდებოდა, მაგრამ ილარიონს გულს არ მოეთმინა, როცა ღობეზე მიყრდნობილ პატარა ვოგონას, მოჰკრა თვალი. ამ ვოგონას მამა დეფუტა ფრონტზე.

— მოდი შვილო, მოდი!—გასძახა ილარიონმა.—გაშალე კალთა!

ვოგონამ მორიდებით გაშალა კალთა, ილარიონმა 30 კვერცხი ჩაუწყო შიგ. — ეს პირადად შენ! ოღონდ, იდევ ცალკე მივიტან! მოდაც ხომ მიხვალ? აი, ეს ქათამიც შენ. როგორ თუ არ გინდა? ეს ქათამი, სულ ერთია, ... არ მოიცდის, გამოეკიდება თავის კვერცხებს. აბა, ასეთი ხასიათი აქვს. წაიყვანე, შვილო, წაიყვანე, ბინაცვალე!

ხალხს სიცილი შესკდა. პატარა ვოგონამ ქათამი ამოიღლიავა და შინისაკენ გასწია.

სუფთა გულის მეზობელი

ივანე ქობალავა 60 წლისაა. ჯერ კიდევ ბავშვ, შესახედავად საამური, ტკბილი მოხუცია. ორი შვილი ჰყავს ომში: მამანტი და ... ელი. შეძლებულად ცხოვრობს. მისი ოდა ... ეიანზე ცხენი გაჭენდება. მეუღლე ეპარ... ია მეაბრეშუმე ოსტატია. წელს საუკეთესო ... ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩააბარა.

ივანკეს მეზობელს, თომა ბოკუჩავას, ცოლს ... ენის თესვა გაუჭირდა. თვითონ თომა და ... ისი ორი შვილი ომში არიან. ივანე შეეგება ... ომას ნაკვეთზე და დასთხა. მაგრამ ხომ ... ენდა დახმარება მანუკა გუნიასაც, მატრონა ... ძამიას, ივანე ლუხავას? ამ ოჯახებიდანაც ... ომში არიან ვაჟკაცები?.. ივანკეც გავიდა... ... ელას დაუთესა როგორც მამამ, ძმამ და მეზობარმა... არავის დაუვალებია ივანკესათვის ... სამუშაო. არც ის უფიქრია ივანკეს, ვინმე ... ეგებდა და დასწერდა ქაზე. გულმა გაიწია ... ონტელთა ოჯახების დასახმარებლად და ... ც მაჰყვა სუფთა გულისთქმას.

— დახმარებას თუ ვიღებთ? — გაუკვირდა ... ანეს. — აბა რას ბრძანებთ. ჩემი მამანტისა ... ა მიხას ხათრით მე თვითონ ვეხმარები ... ვას.

ლოლა კუციას თითები

სოფელ ეწერში ფრონტელთა ოჯახებში ... ბრად ნახავთ კოხტა ვოგონას — ლოლა ... ციას. ლოლა არკვევს, ვის რა უჭირს, რა ... ალია, ფრონტიდან რა ცნობა ჰოვდა. კოლ... ეურნეობის თავმჯდომარეს კოლა ჯოჯუას ... ედამ ზუსტი ცნობა აქვს ლოლასაგან. მარ... ალია, სოფელ ეწერის ორჯონიკიძის სახ... ობის კოლმეურნეებს არ უყვართ დახმარ... ის თხოვნა, ეს კოლმეურნეობა მილიონერია, ... ერები შეძლებულად ცხოვრობენ, მაგრამ ... ჯახი ხომ საცერივითაა? რამდენი უნდა დაა...

ახალგაზრდა მანქანათმშენებლები

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობა წარმატებით ასრულებს ლენინურ-სტალინური კომავშირის XXV წლისთავზე ბელადისათვის ... ცემულ წმიდა ფიცს.

ქარხანაში დაზგებთან ბომუშავე 102 კომავშირელიდან 33 კაცი ორასოვანია, 27 — ... ასოვანი, 16 — ოთხასოვანი, ხოლო 9 — ... ოთასი და მეტი პროცენტით ასრულებს დავალებას.

ამ ქარხნის კოლექტივის ახალგაზრდა სტა... ანოველმა ამხ. ელგუჯა ხიზანიშვილმა ომის ... ირველ დღეებში დაიწყო მუშაობა. იგი მალე ... ახდა ზეინკალი და ამჟამად მეტად საპასუხისგებლო დეტალის, გამოშვებაზე მუშაობს. მის... ი ბრიგადამ ქარხანაში სახელი გაითქვა საბრძოლო გეგმების შესრულებაში. ბრიგადა ... ის ნაცვლად 3 კაცით საწარმოო დავალებას სისტემატურად 500-700 პროცენტით ... ასრულებს, ხოლო თვით ამხ. ხიზანიშვილი— ... 000 პროცენტით.

საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შე... ასრულებაში სახელი გაითქვა ავრეთვე კომ... ავშირელ ვერა ფილოლენკოს ახალგაზრდულ ... ბრიგადამ, სადაც 9 მუშის საშუალ 3 კაცი ... ასრულებს. ივლისის საწარმოო დავალება ამ ბრიგადამ 370 პროცენტით გაანაღდა. ბრიგადა წარმატებით განაგრძობს მუშაობას აგვისტოშიც. სტალინური ავიაციის დღეს აღსანიშნავად ამხ. ფილოლენკო 17, 18 და 19 აგვისტოს სტაბანოვურ ვახტზე დადგა და ღღიური ნორმა 500-550 პროცენტით შეასრულა.

ოსტატის სახელი მოიხვეჭა კომკავშირელმა თ. გოგლიძემ. იგი მიმდინარე წელს მოვიდა ქარხანაში და 2 თვის მანძილზე წარმატებით დაეუფლა ხარატის პროფესიას. გოგლიძე ახლა საწარმოო დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებს.

კომკავშირელ შ. ჩაბიძის ზეინკალთა ბრიგადა ყოველდღიურად ორ-სამ ნორმას ძღვევა. ახალგაზრდა ხარატი ნუნუ ალავიძე მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს და დავალებას ყოველთვის 400-450 პროცენტით ასრულებს.

დიდი ბელადისათვის მიცემულ წმიდა ფიცს სასახელოდ ასრულებენ ახალგაზრდები — ხარატი ა. ოგანეზოვი, ვ. ჯავახიშვილი, ა. ჩუტკარაშვილი, ზეინკალი გ. ზუკაკიშვილი, ხარატი ვ. ვარაბიოვი, ს. ბელიაევი და ა. ოგანეზოვი. ისინი ფრონტული თვდადებით მუშაობენ.

ლ. ესეშვილი

ხაჯერ კაკაბაძის ახალი წარმატება

ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ორდენოსანმა ხაჯერ კაკაბაძემ 22 აგვისტოს — მოჰკრიფა 4.828 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, მათ შორის პირველი ხარისხის 3.563 კილოგრამი. ამგვარ კაკაბაძემ დღიური ნორმა შეასრულა 24.140 პროცენტით და გამოიმუშავა 345 შრომადღე. აღნიშნულ შრომადღეებზე კუთვნილი თანხა 6.900 მანეთი ამხ. კაკაბაძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა.

ალ. ახალაძე

გიორგი ლეონიძე

რას ამბობენ მტკვარი და არაგვი მცხეთაში

ვაშად მოდიან, ეტყობათ
ორივე გულდამტკბარია,
მოეზვირთება არაგვი,
დინჯად რომ მოდის მტკვარია,
ერთი მცხრალია, მეორე
თვალდაფეთებით ცხარია,
ერთს დაჰკრავს ფოლადის ფერი,
მეორე ნავერცხლარია.
— თქვენ იცით, ჩემი სათავე,
ტალღას საიდან უვლია?
მარგალანწყაროდან მოვდივარ,
მარგალიტგაფრქვეული ვარ!*)
— მე ვარ მყინვარის ნაწური,
ჩემი ზვირთი ჰგავს ცისკარსა!
თეთრ მტრედებს მოვათამაშებ,
ბროლს ვისვრი შეუმწიკვლარსა.

ტანვერცხლიანი, ლაჟვარდა,
ზამბახურ გადამშუქარი,
მოჰქრიან წყალტეხილები
ღვართქაფიანი, მდუღარი,
იქ, სადაც დგანან ტაძრები,
მაღალ მთის თანადასწრებით,
ერთმანეთს მიახარებენ
ორნივ ზვირთნიაღვარები:
—ვაშადი გვასხია ყელამდი,
პირი გვიკოცნეთ მზიანი,
მახარობლებად მოვქრივართ,
კლდიდან კლდეებზე ზრიალით!
ოქროს ქვიშაზე მოვქშუიით
მთაში ნაშობი ქაფები,
შენთან სამშობლოვ, შენს გულთან—
თბილისში მოვისწრაფებით!
შეგთაფლდეთ ჩვენი სიტყვები,
თქვენც ჩვენთან გაიმეორეთ,
გადაეხვიეთ ერთმანეთს,
აკოცეთ ერთი მეორეს!
გული ელოდა მის მზესა,
მოვიდა ვისაც ველოდთ,
გორის თავს ბრწყინავს მზისთვალი
მსოფლიოს მიმომვლელობით.
—დიდება ჩვენს შვილს სახელდიდს,
შეერგოს ჩვენი ამაგი:
— მე ვზარდე, მტკვარი იძახის,
— მე ვაწრთე—იტყვის არაგვი.
— ჩვენ დავურწიეთ აკვანი,
ქართულად ნანა ვუთხარით,
მისი გულის და ოცნების
ჩვენა ვართ გამომკუთხავი.
ჩვენ ვქსოვეთ მისი ნათელი
და მისი შარავანდედი,
გაუთავებელს ლოდინში
ზვირთს მის იმედით ვადენდით.
გაუთავებელს ლოდინში
ზვირთებს გვითბობდა იმედი,
რომ საქართველოს დიდ მზესთან,
ჩვენც მზიურ გავიღიმებდით.
ასრულდა, ფიროუზსარკმლიდან
ლურჯად რო მოვიჭვრიტებით—
მზებედნიერი სამშობლო
დგას მსოფლიოს წინ დიდებით.
აშენდა ჩვენი სიმაგრე,
აღმდგარა ყველა სვეტები,
უტევარია ოცნება,
სადენში ვეღარ ვეტევით!
ჩვენ შევესწარით, ჩვენა ვართ—
დიდი ნაცხადის მხილვარი;
ჩამობრიალდით არწივნო,
თქვენთან ვართ თანამფრინვალი!
მოგვაქვს სამშობლოს ნათელი
დამარმარებულ ტალღებით,
დიდების კვართი გვაცვია,
კვლავ აღარ დავითალხებით.
ზვირთი მსუნთქავი ოცნებით
კლდეებზედ შევაელვარეთ,
მოვიდა, ვისაც ველოდთ,
ისმინეთ სიტყვა მღელვარე!

ჩვენ გვინახია ღმერთკაცი,
მთაკაცი გვახსოვს მრავალი,
დაგვილოცნია ლომკაცი
სალაშქროდ გზადმიმავალი.
ვზარდეთ ვახტანგი, დავითი,
პირშუქიანი თამარი...
ზღვას ბჭე შეაბეს... სამშობლო
დახურეს ნათლის კამარით.
მერე რა დიდხანს დაღამდა...
გულზე გვეხურა ყინული...
ჩვენ ბედს ეძინა რიყეში,
ვიყავით შემორკინული...
ჩვენ ათას ჯვარზე ჯვარცმულებს
გული და ღვიძლი გვტკიოდა,
დაგვარიალეს იავარ,
მტერი ხმლით შემოგვკიოდა!

ზღვაში ჩავარდა ქართლის მზე,
შიგ ჩვენი გულიც ჩავუშვით,
ტირილით ჩამოგვივლია
ჩვენს აოხრებულ მამულში...
დავტირნეთ ბედი ქართლისა,
გამოვიკვნესეთ წარსული...
იმედით მდიდარ მომავალს
მივანდეთ გული და სული.
ჩვენს ზვირთში შურისძიება
იწვოდა სააკაძისა,
დაგვჩერებოდა აჩრდილი
ხმალაბჯრიანი კაცისა...
განა ვეფხვს სძინავს თვის აწკალზედ?
გულს ხმალზედ შეჭრილს ეძინა?—
ჯაჭვს ვხრავდით, მთას თავს
ვაწყვეტდით
ბოღმამ კლდე დაგვაწეწინა!
ბორგნეულ ტალღით ვაფხიზლეთ
ქალაქები და სოფლები,
აკვნის გამოწვნა ვიცოდით,
ხმლის ჭედვა საგალობლებით.
განა ჩვენ მართლა წყალი ვართ?—
ჩვენ მთების ნაპერწკალი ვართ!
ჩვენ საქართველოს ფრთები ვართ,—
ფრთაში ალმასი გვნთებია.
მთის გულისმგერას ვისმენდით,
მოგვქონდა მისი ნათქვამი,
თავისუფლების რძე იყო
მარად ჩვენს ძარღვში ნადგამი.
მკერდით ჩავკიბეთ ნაპრალი,
შავი კლდის ლოდი ნაყარი,
ჩავრეცხეთ ცრემლი და სისხლი,
წყლულიდან ამონაღვარი.
შხეფი-შხეფს, ნაკვესი-ნაკვესს
გული-გულს, ხანჯალს-ხანჯალი
გადავბით, რომ გაგვეპო
ჩვენი დიდიხნის მტანჯავი!
სიკვდილი გულზე გვეკვროდა,
არ მივიკარეთ წამითაც,
ისევ დღეს მცხეთას მირონი,
ოქროს ბურთს ვისვრით ღამითა!
თრთის მომავალი ჩვენს ზვირთში
მბრწყინავი ოქროსფერობით,
ვარდი გაყაროთ სამშობლოვ,
მოვიდა, ვისაც ველოდთ!
ვინც აღელვებდა ჩვენს სიზმარს,
ჩვენს ათასწლეულ ოცნებას,
მოვიდა, ვნახეთ, გვეღირსა, —
გულმა საგულე მოძებნა!
ბრწყინავს მსოფლიოს წინაშე
მისი ნათელი მზიანი,
გვეხედვებოდა სიკვდილი
ვართ უკვდავების ზიარი!

ჩვენ დღე ცისმარი გვძარცვავდენ,
გვიოხრეს სახლი, ტაძარი,
ასე მიჰქონდათ ნაძარცვი,
უღმერთოდ დანატაცარი,
მაგრამ ყველაზე მდიდარი
საუნჯე განძი დიადი
წიაღში გვქონდა ფარული,
ვით განთიადი წყვდიადში...
ამოაბრწყინა სამშობლომ
სიმდიდრე შეუსადარი,—
ბელადი დაუდრეკელი,
გამარჯვებათა სარდალი!
ახალ მზედ ამოგვივიდა,
დიდებით დავიფარჩენით,
ოქრომტევანი ვენახი
დასხმულა მისი მარჯვენით...

ქართლის ფესვების რძის ღვარი,
იაჯავარი ქაფები,
მოვქრივართ ლომისფაფრულად
თბილისში მოვისწრაფებით!
დიდება შენდა სამშობლოვ,
რა დიდ განძს გულში ჰფარავდი!
შეუძვრელი გაქვს სიმტკიცე,
არ შეირყევა მარადის!
გავერთდით, გავერთხმიანდით
მტკვარი, რიონი, არაგვი!
თერგო, ჭოროხო, რიონო,
ზვირთი გალალეთ ბარაქით,
ხმალივით ერთი პირი გვაქვს,
არ ვართ ცალკეცი, ცალმაგი..
ჩვენო სამშობლოვ, იდიდე,
ჩვენ შენთვის შევიარაღდით!
ჭზე დიდებისა გეხვევა,
ბრწყინვალეს გორის ქალაქი.
გუავდეს მზეგრძელი ბელადი
მისი უკვდავი ამაგით,
სულ შხეფდეს შენი რძის ცვარი
დაუშრობელი მარაგით...
ამას ამბობენ მცხეთაში
ერთად, მტკვარი და არაგვი...

*) „მარჯანწყარო“ და „მარგალიტის წყარო“ — სათავეს აძლევენ მდინარე მტკვარს.

ავტორი.



თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა, სახარატო საამქროს უფროსი ოსტატი გ. გვანცელაძე (მეორე მარჯვნიდან) ახალგაზრდა მუშებს უხსნის ნაწილის ტექნიკური დამუშავების პროცესს.

ფოტო ვ. გიზბერგისა.

ახალი თეატრალური სეზონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი თეატრები მუშაობას განაახლებენ. პირველად რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის სცენაზე აიხდება ფარდა. აქ 1 სექტემბერს ნაჩვენები იქნება ახალი პიესა — ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“.

1944-1945 წლის თეატრალური სეზონის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაძლეულ იქნას გასული სეზონის ნაკლოვანებები და ახალ შემოქმედებით აღმავლობას მივაღწიოთ.

გასული თეატრალური სეზონი, მიუხედავად ზოგი მნიშვნელოვანი სპექტაკლის შექმნისა, სერიოზული უარყოფითი მხარეებით ხასიათდებოდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ეს სეზონი, ერთის მხრივ, არ იყო მრავალფეროვანი: მხოლოდ რამდენიმე პრემიერით განისაზღვრებოდა, ხოლო მეორე მხრივ—მას არ მოუცია არც ერთი თვალსაჩინო სპექტაკლი, ქართველი ხალხის დიდ სამამულო ომში მონაწილეობის, კერძოდ კავკასიის დაცვის დიდი ეპოპეის ამსახველი. პრემიერათა სიმცირის მიზეზს თვით თეატრების ნაკლებინტენსიური მუშაობა წარმოადგენდა. მეორე მომენტი კი ქართული დრამატურგიის ჩამორჩენით, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისტორიული თემებით გატაცებით აიხსნება. ცხადია, ისტორიული წარსულის მხატვრულ განსახიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მას არ შეუძლია შესცვალოს თანამედროვეობის თემატიკა. ჩვენმა მოწინავე დრამატურგებმა ეს უკვე გაითვალისწინეს. ისინი, თუმცა შედარებით დაგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ ერთსულოვნად მუშაობენ ქართველი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ამსახველ ტილოებზე. ამ მუშაობის პირველი შედეგები უკვე გვაქვს. ახლო მომავალში მოსალოდნელია უფრო მეტი. ჩვენი თეატრების კოლექტივებმა გულისხმიერი დამხმარება უნდა გაუწიონ დრამატურგებს ამ უაღრესად მნიშვნელოვან შემოქმედებითს მუშაობაში.

1944-1945 წლის სეზონის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსულ კლასიკურ დრამატურგიას, უმთავრესად ოსტროვსკის ცნობილ კლასიკურ ნაწარმოებებს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მხოლოდ რეპერტუარით არ განისაზღვრება თეატრის წარმატება. თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი სიძლიერე სპექტაკლში გამოვლინდება. მთავარი, არსებითი თეატრის მუშაობაში სპექტაკლის შექმნაა. ამ მხრივაც ჩვენს თეატრებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს. სხვადასხვა შემთხვევაში ეს ნაკლოვანებები სხვადასხვაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სპექტაკლების შინაგანი მთლიანობის (ანსამბლის) სისუსტე მსახიობთა თამაშის როგორც ხასიათის (სტილის), ისე სიძლიერის თვალსაზრისით. თეატრს გარკვეული შემოქმედებითი ინდივიდუალობა უნდა ახასიათებდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი წამყვანი (აკადემიური) თეატრებისათვის. თეატრის შემოქმედებითი ინდივიდუალობა სპექტაკლების მთლიანი ხასიათით უნდა მეღავნდებოდეს და ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მეტი სრულყოფით ათვისებასთან.

უდავოდ არასაკმაოა ის მუშაობაც, რომელსაც ჩვენი წამყვანი თეატრები ეწევიან ნაციონალური ფორმის განსახიერებისათვის. ცხადია, თეატრის სტილის ეს მხარეც თვით სპექტაკლების შინაგან არსში უნდა იყოს მოცემული. ამიტომ ნაციონალური ფორმის გარეგანი ეთნოგრაფიული დეტალების განსახიერების გზით ძიების ტენდენცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ. ჩვენ გვაყვს შესანიშნავი მსახიობები, რომელთა სახელები, როგორც სცენის ბრწყინვალე ოსტატებისა, ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ დიდი და ღირსეული სპექტაკლების შექმნა მხოლოდ ერთეულ მსახიობებს არ შეუძლიათ, მათ ჰქმნის მსახიობთა მთელი კოლექტივი. მსახიობთა საგრძნობი ნაწილი კი მოკლებულია შესაფერ ოსტატობას და მხატვრულ კულტურას. ამის გამო ისინი თავიანთი როლების მხატვრულ გახსნას ვერ ახერხებენ, არამედ პირდაპირ ილუსტრირებას. ეს კი აბერებს სპექტაკლების მხატვრულ ღირსებასა და არღვევს შინაგან მთლიანობას.

მხატვრული ოსტატობის ამაღლებისათვის ნაკლებად მუშაობენ ცალკეული მსახიობები— წამყვანიც და რიგითიც. ბევრი ფიქრობს, რომ ნიჭი საკმაოა და საჭირო არაა მეცადინეობით შეიწუხო თავი. ამას უნდა დამატოს ისიც, რომ ზოგიერთი მათგანის მხატვრულ-შემოქმედებითი ზრდა ხელს უშლის ესტრადით გატაცება. [illegible] ნელოვნებამ გადამეტებული [illegible] ასეთი თვითკმაყოფილი და „გაორებული“ მსახიობების მიმართ.

განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება მოუხდება ახალ სეზონში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივს. ამ დიდი ტრადიციისა და შესაძლებლობის მქონე კოლექტივმა არსებითად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა იმ შემოქმედებითი ნაკლოვანებების დასაძლევად, რაც ახასიათებდა მას უკანასკნელ წლებში.

ცალკე უნდა შევჩერდეთ რაიონული თეატრებისა და მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მუშაობაზე.

რაიონული თეატრების მუშაობიდან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს რეპერტუარის სისუსტე. მათს რეპერტუარს უმთავრესად ისეთი პიესები შეადგენს, რომლებსაც არც მხატვრული ღირსება მოეპოვებათ და არც შემეცნებითი-იდეური. მეორე მხრივ, რაიონული თეატრები ისეთ პიესებს არჩევენ, რომელთა შესაფერად დადგმის შესაძლებლობა არა აქვთ. ამას ემატება ისიც, რომ ზოგან სპექტაკლს მხოლოდ მაყურებლის გემოვნებით განსაზღვრავენ. დაეწყებულია ცნობილი ჭეშმარიტება, რომ თეატრი თვითონ კი არ უნდა მიჰყვებოდეს მაყურებელს, არამედ მაყურებელი მიჰყავდეს თავისი გზით. იგი მაყურებელს უნდა ზრდიდეს და ამაღლებდეს არა მხოლოდ იდეურად, არამედ მხატვრულადაც. ჩვენმა რაიონულმა თეატრებმა ამას რომ მიაღწიონ, საჭიროა ხელოვნების საჭმეთა სამმართველომ შეავსოს მათი კოლექტივები კვალიფიციური კადრებით და გაძლიეროს კონკრეტული შემოქმედებითი ხელმძღვანელობა მათი მუშაობისადმი. რაიონულ თეატრებს მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ ჩვენი რესპუბლიკური თეატრებიც. თვით რაიონული თეატრები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრონ თავიანთი სპექტაკლების იდეურ-მხატვრული ხარისხის ამაღლებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სუსტად მუშაობს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრიც. განსაკუთრებით ეს ითქმის თეატრის ხასიათის შესახებ: გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს თეატრი ძირითადად აკადემიური თეატრების გზას მიჰყვება, რის გამო შესაფერისად ვერ ეხმაურება თავისი მაყურებლის სპეციფიკურ ინტერესებს. ამავე დროს, მის სპექტაკლებში მეტად მკრთალად არის ხაზგასმული დიდაქტიკური მომენტი, სუსტია როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პიესების ენა, უმეტესად დაბალ დონეზე დგას მსახიობთა მხატვრული მეტყველების კულტურა და დაცული არ არის მაყურებელთა ასაკობრივი დაყოფის პრინციპი. თეატრი არსებითად თითქმის არავითარ მუშაობას არ ეწევა ქართული ნაციონალური რეპერტუარის შესაქმნელად. რუსული კლასიკური დრამატურგიიდანაც მის სცენაზე არც ერთი პიესა არ დადგმულა. არც სკოლის ცხოვრების ამსახველი სპექტაკლი უნახავს აქ მოზარდ მაყურებელს. საგრძნობლად ფერმკრთალია ცალკეული სპექტაკლები დადგმის მხრივაც. ყველა ეს დეფექტი, რომლებიც, სხვათა შორის, იმითაც იყო გამოწვეული რომ მას შესაფერ ხელმძღვანელობას არ უწევდნენ, აუცილებლად უნდა დასძლიოს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის კოლექტივმა.

დასასრულ, თეატრალური კრიტიკის შესახებ. ცხადია, რომ ჩვენი თეატრალური კრიტიკა მეტად სუსტია. ცნობილია ისიც, რომ ცალკეულ სპექტაკლებზე გამოქვეყნებული რეცენზიები და წერილები არც ისე იშვიათად ხასიათდებიან ზოგადი ფრაზებით და ტენდენციურობით. ამასთან, ხშირად რეცენზიები სპექტაკლის ერთი ნახვით მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით იწერება. ყველა ამ დეფექტის აღმოფხვრაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ. ამავე დროს, ახალი დადგმების განხილვაში აუცილებელია მასობრივად მიღონონ მონაწილეობა თვით თეატრის მუშაკებმა — რეჟისორებმა და მსახიობებმა. აუცილებელია ხშირად მოეწყოს შემოქმედებითი დისკუსიები და ცალკეულ სპექტაკლთა განხილვა.

ეჭვი არ არის, რომ ქართული თეატრის მუშაკები მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენერგიით შეუდგებიან 1944-45 წლის სეზონს და გმირი წითელი არმიის ისტორიული გმარჯვებებით აღფრთოვანებულნი მნიშვნელოვნად წასწევენ წინ ჩვენს სასცენო ხელოვნებას.

მ. დუდუჩავა

1944-45 წლის სეზონისათვის

ოპერისა და ბალეტის თეატრი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მომავალ სეზონში მაყურებელს უჩვენებს ხუთ ახალ დადგმას: ოპერებს — „დარეჯან ცბიერი“, „ბორის გოდუნოვი“, „ოტელო“, ბალეტებს — „ეკმერალდა“ და „გედის ტბა“. სეზონში აღდგენილ იქნება „კეცხოველი“ და „თავადი იგორი“. რეპერტუარში რჩება წინა სეზონების ყველა საინტერესო დადგმა.

ოპერის თეატრი სეზონს გახსნის 17 სექტემბერს.

რუსთაველის თეატრი

სეზონი გაიხსნება 1 სექტემბერს ს. კლდიაშვილის პიესით „ირმის ხევი“. სეზონში თეატრი დასდგამს: „მეფე ლირს“, ოსტროვსკის კომედიას „ზოგჯერ ბრძენიც კი შესცდება“, შ. დადიანის პიესას კავკასიის გმირული დაცვის თემაზე „შარავანდედი“. აღდგენილი იქნება „ოტელო“ და „არსენა“.

სეზონის განმავლობაში თეატრის რეპერტუარში იქნება: „სირანო დე ბერჟერაკი“, „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, „სამშობლო“, „დალატი“, „ოლეკო დუნდიჩი“, „ოკვიძე“, „კრწანისის გმირები“ და „საპატარძლო ადგილით“.

მარჯანიშვილის თეატრი

თეატრი დასდგამს მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასულს“, სამსონიას „ბაგრატიონს“, ოსტროვსკის „უმზითვოს“ და ი. ვაკელის „თამარ მეფეს“, კაპიტალურად აღადგენს პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“ და შ. დადიანის „ჩატეხილ ხიდს“.

წინა სეზონების დადგმებიდან თეატრი უჩვენებს შემდეგ სპექტაკლებს: „ერეკლე მეფე“, „პარტიზანები“, „ფელადე“, „ინეინერი სერგეევი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ურიელ აკოსტა“, „მარგარიტა გოტიე“, „კოლმეურნის ქორწინება“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ და „პირველი ცოლის მორჯულება“.

სეზონი გაიხსნება 10 სექტემბერს.

გრიბოედოვის თეატრი

სეზონი გაიხსნება 8 სექტემბერს. თეატრი გვიჩვენებს შემდეგ პრემიერებს: ოსტროვკაის „უკანასკნელი მსხვერპლი“, ტურისა და შეირნის „ორთაბრძოლა“, ბრბუზოვის „სასტლბაგდ“ და კრონის „ფლოტის ოფიცერი“ და პინეროს „საშიში ასაკი“.

ძველი დადგმებიდან თეატრი გვიჩვენებს: „ინეინერ სერგეევს“, „სამ დას“, „კრეჩინსკის ქორწინებას“, „საგანგებო კანონს“, „ძაღლს თივაზე“, „შეცდომებიც ღიმეს“.

მუსკომედიის თეატრი

მომავალ სეზონში თეატრი გვიჩვენებს სამ პრემიერას: მიქავას და აბაშიძის „მსახიობის სიყვარულს“, კალმანის „მარიცას“ და ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებს“. თეატრი მუშაობს კლასიკური ოპერეტის — ერვეს „მადმაზელ ნიტუშის“ დადგმაზე.

წინა სეზონების დადგმებიდან თეატრის რეპერტუარშია: „როზ-მარი“, „სილვა“, „ოქროს გასაღები“, „ირშინ მალ-ალან“, „კოლომბინა“, „მზის დაბნელება“, „ხაჯერათი“, „საქორწინო მოგზაურობა“ და „აყვავებული ბაღი“.

სეზონი გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი

10 სექტემბერს გაიხსნება მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სეზონი. თეატრი ახალ სეზონში ოთხ პრემიერას დასდგამს: ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს“, შექსპირის „ორ ვერონელს“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილს“ და გოგიაშვილის „ფარავნელ ჭაბუკს“.

ქუთაისის თეატრი

ქუთაისის თეატრს განზრახული აქვს ახალი სეზონის განმავლობაში დასდგას 6 პრემიერა: შილერის „ყაჩაღები“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, პ. კაკაბაძის „ალბერის ხმალი“, კრონის „ფლოტის ოფიცერი“, ტერისა და შეინინის „ორთაბრძოლა“ და ისტორიული პიესა „ბაგრატიონი“.

გორის თეატრი

გორის სახელმწიფო თეატრს განზრახული აქვს ახალ სეზონში დასდგას შემდეგი პიესები: „საგანგებო კანონი“, „ირმის ხევი“, „ქრისტინე“, „ნაცარქექია“, ლუკაშვილის „მავლეგო“, გორკის „მეშჩანები“, შოუკაშვილის „სულელი“, ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“ და კრონის „ფლოტის ოფიცერი“.

დეკეშები

რუმინეთის ამბები

ანკარა, 25 აგვისტო (საკადესი). ბუქარესტის რადიომ გადასცა შემდეგი ცნობა:

მისი უდიდებულესობის მეფე მიხეილ I-ის დეკლარაციის საფუძველზე ახალმა მთავრობამ გერმანიის მისიას ბუქარესტში აცნობა, რომ ურთიერთობა რუმინეთსა და გერმანიას შორის ორივე მხარის შეთანხმებით შეიძლება შეწყვეტილ იქნას. რუმინეთის არმია, რომელიც გამსჭვალულია გადაწყვეტილებით დაიცვას თავი, არავითარ შეიარაღებულ მოქმედებას არ მიმართავს გერმანიის ჯარების წინააღმდეგ. რუმინეთის მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ იგი გერმანიის ჯარებს აძლევს დაუბრკოლებლად გასვლის გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ ისინი რუმინეთს ნებაყოფლობით დასტოვებენ. გერმანიის სარდლობამ თავის მხრივ აღუთქვა, რომ არავითარ შეიარაღებულ შეტაკებას არ დაუშვებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანიის ჯარების ნაწილებმა შეიარაღებულ მოქმედებას მიმართეს რუმინეთის ჯარების წინააღმდეგ. ამავე დროს გერმანიის ავიაციამ მოახდინა რუმინეთის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მასირებული უწესრიგო დაბომბვა. ქალაქებში ბევრი მსხვერპლია სამოქალაქო მოსახლეობაში.

აგრესიის ამ აქტების გამო რუმინეთი თავის თავს გერმანიასთან ომის მდგომარეობაში სთვლის. ამასთან დაკავშირებით მთავრობა ბრძანებას აძლევს რუმინეთის არმიას გერმანიის ოკუპაციისაგან რუმინეთის განთავისუფლების მიზნით ბრძოლა აწარმოოს რუმინეთში მყოფი გერმანელთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ რუმინეთის არმია ჩვენი მამაცი არმიის შესაფერისი ვაჟკაცობით იბრძოლებს და რომ ხალხი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მას.

ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 26 აგვისტო (საკადესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ამერიკისა და საფრანგეთის ჯარებმა, რომლებიც შუტყვის აწარმოებენ სამხრეთ საფრანგეთში, რამდენიმე პუნქტში მიაღწიეს რონას და ალპების რაიონში მივიდნენ იტალიის საზღვართან. დაკავებულია რამდენიმე ახალი მნიშვნელოვანი ქალაქი, მათ შორის არლი, ტარასკონი და ავინიონი.

საფრანგეთის ჯარებმა ტულონში დაიკავეს ზღვის არსენალი და ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი. მარსელში მტერი განაგრძობს წინააღმდეგობას მხოლოდ ცალკე პუნქტებში. მოკავშირეთა ფლოტმა ინტენსიური სროლა აუტეხა ზღვიდან მტრის ბატარიებს ანის რაიონში და მენდრიეს კონცხზე, ტულონის სამხრეთით. სროლა მეტად წარმატებითი იყო.

მე-5 არმიის ფრონტზე ფლორენციის დასავლეთით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 24 აგვისტოს მოკავშირეთა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა ფლორენციის აღმოსავლეთით და მთის მასივი მდინარე არნოს მოსახვევში. ამან შესაძლებლობა მისცა ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებს წინ წაეწიათ სამი მილით ძნელად სავლელ მთიან ადგილებში. მოწინააღმდეგეს უეჭველად მოუხდება განაგრძოს უკანდახევა.

მდინარე ტიბრის ზემო წელის ხეობაში მოწინააღმდეგემ მოახდინა პოზიციების ევაკუაცია მონტეგოლიოს აღმოსავლეთით.

მოკავშირეთა ავიაციამ თავს დაესხა ორ საავიაციო ქარხანას და აეროდრომს ბრნოს მახლობლად და აეროდრომს პროსტეევში (ჩეხოსლოვაკიაში).

მოკავშირეთა ავიაციის სხვა შენაერთები ურტყამდნენ მტრის ობიექტებს ჩრდილოეთ იტალიაში.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 26 აგვისტო (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

25 აგვისტოს დილით პარიზში საფრანგეთის მე-2 ჯავშანსატანკო დივიზიის შესვლის შემდეგ დედაქალაქში შევიდნენ მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ძალები და ქვეითი ჯარი.

პარიზის სამხრეთით მოწინააღმდეგე ინარჩუნებს სენას აღმოსავლეთ ნაპირს პუნქტებს ვილნეკვსა, სენ-ჟორჟსა და ჟორბეის შუა. მტერი უკან იხევს მონტარჟის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა პატრულებმა შორს წაიწიეს წინ აღმოსავლეთით ტრუაადე. მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს ელბეფი, ამ პუნქტსა და ზღვის შუა მდებარე რაიონში სწრაფად მიიწევენ წინ და უახლოვდებიან სენას. მოკავშირეთა ჯარებმა ბევრ ადგილას გადალახეს მდინარე რილი და ამავამად ინარჩუნებენ მდინარის ორივე ნაპირს პუნქტ მონფორ-ს�ფორ-რილამდე. ინგლისისა და კანადის ნაწილები შეუერთდნენ ამერიკის ჯარებს.

მოკავშირეთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ბრესტზე ხმელეთიდან. ჰაერიდან და ზღვიდან. 25 აგვისტოს ნაშუადღევს და 25 აგვისტოს ღამით საშუალო და მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებს, მათ შორის არსენალს. ზღვიდან სროლა ავუტეხეთ სანაპირო ბატარიებს და მტრის ცალკე ობიექტებს.

ავიაციამ განაგრძობდა თავდასხმა მტრის სამხედრო ობიექტებზე.



ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში (მარცხნიდან მარჯვნივ): პიონერთა სამხედრო წრე ტყვიამფრქვევს სწავლობს; გოგონების ჯგუფი ორძელზე ვარჯიშობს; მასწავლებელი ე. კობიაშვილი პიონერებს წიგნს უკითხავს. ფოტო ელ. გინზბურგისა

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მდიდრულად მოწყობილ დარბაზებსა, დერეფნებსა, კაბინეტებსა და სახელოსნოებში განუწყვეტლივ გაისმის მოსწავლეთა ერიამული. ზამთარსა და ზაფხულს, ყოველდღიურად, დედაქალაქის სხვადასხვა კუთხიდან აქეთეულ მეცმარეობიან წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები, ისინი მოდიან აქ იმისათვის, რომ შეიცვნონ ცოდნა, აიმაღლონ კულტურული დონე, დაეწაფონ მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების იმ დარგებს, რომლისადმიც იჩენენ განსაკუთრებულ მიდრეკილებას.

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე მუშაობას შეუდგა სამი წლის წინათ. პიოტაგადად ამისა სასახლეს შესძლო დაეგროვებინა სკოლისგარეშე მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

პიონერთა სასახლე თავის ამოცანად ისახავს გაალრმავოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა, აღუძრას მათ სიყვარული მეცნიერებისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგისადმი, შეაყვაროს და ასწავლოს დამოუკიდებელი მუშაობა წიგნზე, ჩაუნერგოს შრომითი ჩვევები, აღზარდოს ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული, საბჭოთა სამშობლოსათვის სასარგებლო ადამიანები.

1943-44 სასწავლო წელს პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მრავალფეროვან საწრო მუშაობაზე ჩამბული იყო 5,500-ზე მეტი პიონერი და მოსწავლე. სასახლეში ფართოდ დაინერგა ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებული ნიჭისა და ინტერესის მქონე პიონერ-მოსწავლეებთან, რის მეოხებითაც ჭამიერნებელ იქნა მრავალი საამაყო ახალგაზრდა—ნორჩი შემოქმედი, მკვლევარი, გამომგონებელი, მუსიკოსი, სპორტსმენი...

მეცნიერების განყოფილების კაბინეტებში მრავალად წარმოდგენილი ბავშვთა ნამუშევრები—მოხსენებები, ხელნაწერი ჟურნალები, ყდლის გაზეთები, რუკები, ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა ძლიერად უყვარს ნორჩ თაობას თავისი მშობლიური საბჭოთა ქვეყანა, ბოლშევიკური პარტია, ხალხთა ბელადი დიდი სტალინი.

საბჭოთა კავშირის ხალხების და, კერძოდ, საქართველოს გმირული წარსულის შესწავლით ისტორიის კაბინეტი კიდევ უფრო ღრმად ნერკვევს მოსწავლეთა შორის წმიდა პატრიოტულ გრძნობებს.

საქართველოს ისტორიის შემსწავლელ წრეებში მოსწავლეებმა დაამუშავეს და საჯაროდ წაიკითხეს მოხსენებები: „ვახტანგ გორგასლანი“, „დავით აღმაშენებელი და მისი დროის კულტურული ვითარება“, „არაბები საქართველოში“, მთელი სერია მოხსენებებისა თამარ მეფის ეპოქიდან, „ერეკლესეული თბილისი“ და სხვ.

სსრ კავშირის ისტორიის შემსწავლელმა წრეებმა დაამზადეს საყურადღებო გამოფენა თემაზე: „დიდი რუსი ხალხის გმირული წარსული“. ისტორიის კაბინეტი ამზადებს აგრეთვე გამოფენას: „ვმირი ქალაქები“. ამავამად უკვე დამთავრებული ქალაქ ლენინგრადის ირგვლივ ისტორიული და თანამედროვე დოკუმენტალური მასალის შეგროვება. დაწყებულია სტალინგრადის შესახებ მასალების შეკრება.

აღსანიშნავია, რომ ისტორიის კაბინეტს უდიდეს დახმარებას უწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას თაოსნობით. ინსტიტუტმა კაბინეტში გაერთიანებულ მოსწავლეთათვის ჩაატარა სპეციალური სამეცნიერო სესია. საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრეების საჯარო სხდომებზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა ნიორაძემ, დონდუამ, ჩხეტიამ, დოცენტმა გოგიჯანიშვილმა.

საყურადღებო მუშაობა არის ჩატარებული ლიტერატურის კაბინეტში. მოსწავლეთა მიერ დამზადებულია თემები: „დიდი სტალინის სახე ქართულ პოეზიაში“, „პატრიოტული მოტივები აკაკის შემოქმედებაში“, „ქალთა ტიპები ძველ ქართულ ლიტერატურაში“ და მრავალი სხვა. კაბინეტმა მოაწყო დიდი ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველასადმი.

ქართველი კლასიკოსების შემოქმედებასთან ერთად კაბინეტში გაერთიანებული მოსწავლეები უდიდესი ინტერესით ეწაფებიან თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ხშირად ეწყობა დისპუტები ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ირგვლივ, შეხვედრები ქართველ მწერლებთან, შემოქმედებითი საღამოები. მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებით გამოირჩეოდა შეხვედრა აკადემიკოს კ. კეკელიძესთან, აგრეთვე პოეტებთან ბ. ტაბიძესთან, გ. ლეონიძესთან და ი. გრიშაშვილთან. პოეტ გრიგოლ აბაშიძის პოემის „ძღვის ქედის“ ირგვლივ კაბინეტმა მოაწყო დისპუტი. ლიტერატურული დილა მიეძღვნა კონსტანტინე სიმონოვს. დილაზე გარჩეულ იქნა პოეტის შემოქმედება და მოეწყო მისი პატრიოტული ლექსების მხატვრული კითხვა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სასახლეში გეოგრაფიის კაბინეტი. კაბინეტის კედლები და ფარები სავსეა ბავშვების მიერ დამზადებული სხვადასხვა სახის ექსპონატებით. აქ ნახავთ გეოგრაფიის ნორჩ მოყვარულთა მიერ დამზადებულ რუკას, რომელზედაც ყოველდღიურად აღინიშნება ფრონტის ხაზის მოძრაობა, გამოფენილია რუკები: გერმანელთა განადგურება მოსკოვის მისადგომებთან, სტალინგრადის გმირული ეპოპეა და სხვ.

ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის კაბინეტებში.

სასწავლო წლის დასასრულს მეცნიერების განყოფილებამ ჩაატარა სახალისო მეცნიერების საღამო, რომელმაც მოსწავლეთა ფართო მასებისათვის გასაგებ და საინტერესო ფორმებში ასახა განყოფილების ზოგიერთი მიღწევები.

სამ შესანიშნავად გაფორმებულ დარბაზში წარმოდგენილია დოკუმენტური მასალა ლენინისა და სტალინის ბავშვობის, ყრმობისა და მათი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. მიმდინარე სასწავლო წელს აქ მოეწყო 60-მდე ექსკურსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2.000-მდე ბავშვმა. მოსწავლეთა ძალებით დამზადდა საყურადღებო გამოფენა, რომელიც ასახავს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის, სამშობლო ქალაქის—გორის ისტორიას, მეშვიდე საუკუნიდან დღემდე. ამავამად მუშაობა სწარმოვეს დიდი გამოფენის მოსაწყობად თემაზე: „საბჭოთა ბავშვები სამამული ომში“.

პიონერ-აქტივის ოთახში გამოფენილია ლიტერატურა პიონერული მუშაობის საკითხებზე. სისტემატურად ეწყობა კონსულტაციები უფროსი პიონერხელმძღვანელების, პიონერული რაზმებისა და რგოლების ხელმძღვანელების, შტაბის უფროსებისა და სარაზმო კიდლის გაზეთების რედაქტორებისათვის. ხშირად ეწყობა პიონერული რაზმეულისა და რაზმის სანიმუშო შეკრებები, აგრეთვე პიონერული კოცონი.

პიონერთა სასახლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილება. სამხედრო, ნორჩ მეზღვაურთა, ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტებში, სასპორტო დარბაზში ბავშვები იკაჟებენ სხეულს, უდიდესი ინტერესით ეუფლებიან სამხედრო ხელოვნებას, მეკადინეობენ ტაქტიკაში, სწავლობენ შაშანასა და ტყვიამფრქვევს, ეუფლებიან მიზანში სროლას და აწყობენ საბჭოდრო ტაქტიკურ თამაშობებს.

განსაკუთრებით იზიდავს მოსწავლეებს ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი, სადაც ისინი ეცნობიან საქართველოს დედაქალაქს და მის მიდამოებს, ეუფლებიან სიარულის ტექნიკას, დაბრკოლებათა გადალახვას, ორიენტირებას გარემოში, სწავლობენ სათხილამურო საქმეს, და ალპინიზმის ტექნიკას. ამ მიზნით კაბინეტი სისტემატურად აწყობს ექსკურსიებს, სათხილამურო გადასვლებს და ლაშქრობებს, ღამისთევით. კაბინეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია ჯავახეთის ზეგანზე მოწყობილი პიონერთა პირველი ალპინიადა. ალპინიადის მონაწილე ოცდათორმეტმა მოსწავლემ გაიარა ქვეითად 90 კილომეტრი და ავიდა მწვერვალ სამსარზე (3.285 მეტრი ზღვის დონედან). საყურადღებოა აგრეთვე სამდღიანი ლაშქრობა მცხეთა-საგურამო-ზედაზენში და ორდღიანი ლაშქრობა ბეთანიაში.

სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტმა თბილისის განათლების განყოფილებასთან და კომკავშირის თბილისის კომიტეტთან ერთად ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობისათვის მოამზადა 100 მოსწავლე, რომლებიც 20 ივლისს ჯავიდნენ თბილისიდან თელავისა და ყვარლის რაიონებში სამოვზაუროდ. ლაშქრობა მიზნად ისახავდა კოლმეურნეობებისათვის კულტურულ მომსახურებას და მათთვის შრომითი დახმარების აღმოჩენას, სამკურნალო მცენარეულობის შეგროვებას, საქართველოს ისტორიული ძეგლების გაცნობას, კახეთის გეოგრაფიულად და ეთნოგრაფიულად შესწავლას, ამასთან 100 ნიშნოსანის—„საბჭოთა კავშირის ტურისტის“ მომზადებას ლაშქრობის მონაწილეებმა ყველა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს. ამასთანავე ისინი ავიდნენ მწვერვალ ხუბაიარზე (ზღვის დონიდან 3150 მეტრი).

მხატვრული აღზრდის განყოფილების მუშაობაში მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქართული დრამატიული წრის მიერ ვაჟა-ფშაველას პიესის „მოკვეთილის“ დადგმა, ქორეოგრაფიული წრეებისა და მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრის ნაყოფიერი მუშაობა. კარგად მიიღო აგრეთვე ნორჩმა მაყურებელმა თვითმოქმედი თოჯინების თეატრის დადგმები: „ჯადოსნური ყალეში“ და „ნაცარ-ქექია“. ჩამოყალიბებულია მხატვრული ბრიგადა, რომელმაც მომსახურება გაუწია კოჯრის საბავშვო სახლებს, აგრეთვე პიონერულ ბანაკებს.

საბჭოთა პედაგოგიკა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდთა შორის შრომითი ჩვევების დანერგვას. ოქტომბრელთა განყოფილების შრომითი ჩვევების კაბინეტი, სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკის განყოფილებები სწორედ ამ საქმეს ემსახურებიან. ტექნიკის განყოფილების საავიაციო, სატრანსპორტო, ენერგეტიკის, ამატეტო, რადიო კაბინეტები, საზეიმო-სახატო და სადურგლო სახელოსნოები თეორიულ ცოდნასთან ერთად ბავშვებს ენერგიულ პრაქტიკულ ჩვევებს. კაბინეტი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში აზერბაიჯანის პიონერთა სახლთან მოტორიანი თვითმფრინავების მოდელებისა და პლანერების დამზადებაში.

სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობისა, ბებოსტნეობის, პომიდვრეობის კაბინეტები მიზნად ისახავენ მისცენ ბავშვებს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, შეაყვარონ მათ საცდელი მუშობა ნაკვეთზე. მიმდინარე სასწავლო წელს კაბინეტმა ჩატარდა რამდენიმე საჯარო მოხსენება: „მებოსტნეობის განვითარება და მისი ამოცანები“, „ბოსტნეული და მისი კვებითი მნიშვნელობა“, „თაფლოვანი მცენარეები“. სასოფლო-სამეურნეო განყოფილება შრომითი დახმარებას უწევს თბილისის ახლო მდებარე კოლმეურნეობებს.

მომავალში ფართო ხასიათი უნდა მიეცეს ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებების მუშაობას, უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს ინდიკიდუალური მუშაობის პრაქტიკა ტექნიკითა და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ მოსწავლეებში, ნორჩ ვამოგონებლებსა და ტექნიკოსებში. საჭიროა ეწყობოდეს ნორჩ ტექნიკოსთა კონფერენციები, ოლიმპიადები, შეხვედრები წარმოებისა და სოფლის მეურნეობის გამოჩენილ ადამიანებთან, შრომის გმირებთან, სტახანოველებთან.

სასახლეში ხშირად ტარდება ისეთი მასობრივი ღონისძიებები, როგორიც არის შეხვედრები მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, საბჭოთა კავშირის გმირებთან, სამამული ომის მონაწილეებთან, ძველ რევოლუციონერებთან, ორდენოსან პედაგოგებთან.

მრავალად იზიდავს მოსწავლე ახალგაზრდობას სასახლის საბავშვო კინო-თეატრი და ლექტორიუმი. მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით სასახლე, მისი მუდმივი კონტინგენტის გამოკლებით, მომსახურებას უწევს ყოველთვიურად 10.000-12.000-მდე ბავშვს.

სასახლეშ ბავშვთა ძალებით მოწყობილი ფასიანი კონცერტებითა და სპექტაკლებით ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის შეაგროვა 20.000 მანეთი, ხოლო ფრონტელთა ბავშვების დახმარების ფონდში ჩარიცხა 5.000 მანეთი.

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეს თავის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ამაში მდგომარეობს, რომ სასახლე ჯერჯერობით სათანადო დახმარებას ვერ უწევს სკოლის გარეშე დაწესებულებებს: პიონერთა სახლებს, ბავშვთა ტექნიკურ სადგურებს და პიონერთა კლუბებს. ამ მხრივ სასახლეს მომავალში დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდება.

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე, რომელიც ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ლ. პ. ბერიას ინიციატივით შეიქმნა, მომავალში კიდევ უფრო საინტერესოდ გაშლის თავის მუშაობას, რომ დაეხმაროს სკოლას მკოდნე, კულტურული, შრომისმოყვარე, ლენინ-სტალინის დიდი საქმისადმი ერთგული, მტრისადმი მძაფრი სიძულვილით გამსჭვალული ახალი თაობის აღზრდაში.

ე. აგლაძე

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის დირექტორი

მხატვრული ცხოვრება

(ფოტოკრონიკა, „კომუნისტის“ საკ. ფოტოკორესპონდენტისა)

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიწვია საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ი. ნიკოლაძის მოხსენება საქართველოს მხატვართა კავშირის მუშაობის შესახებ ომის დღეებში.

ი. ნიკოლაძის მოხსენების ირგვლივ გაიმართულ კამათში აღინიშნა რუსი და ქართველი მხატვრების შემოქმედებითი კავშირის გაღრმავების საჭიროება, ყურადღება დაეთმო შემოქმედებითი კავშირების წინაშე მდგომ ამოცანებს 1945 წლის გამოფენისათვის 31 დებაში.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა უახლოეს დროში მოაწყოს მოსკოვისა და საქართველოს წამყვანი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენების გაცვლა-გამოცვლა.

საქართველოს ნორჩ მძლეოსანთა გამარჯვება

ახლახან დამთავრებულ ნორჩ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვება ხელეწა საქართველოს სსრ განსახკომის ბავშვთა სპორტო სკოლების მიერ აღზრდილ ნორჩ მძლეოსნებს. საქართველოს გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, მძლეოსნებმა ცალკეულ სახეობებში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს: თბილისელმა მძლეოსნებმა ს. სანაძემ (რბენა 100 მეტრზე), ლ. აგაბაბოვმა (გარბენით სიგრძეზე ხტომა), ნ. ზაკეტი (გარბენით სიმაღლეზე ხტომა) და სხვ.

სასამართლო

საკავშირო ქონების გამფლანგველები ღირსეულად დაისაჯნენ

სოფელ ბოდბისა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ქართველმა სსრ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ, ს. ბერიეევის თავმჯდომარეობით განიხილა ბრალდებულების — ა. ამბროსის-ძე ყაჯრიშვილის, იოსებ ბერის-ძე პავლიაშვილის და ქარუმა დავითის-ძე ტუხაშვილის საქმე.

დადასტურდა, რომ ზემოხსენებულმა პირებმა, რომლებიც მუშაობდნენ მოსავლის ბის პერიოდში საველე საწყობების გამგეებად ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით ფეტვისა და გაფლანგეს 252,940 მანეთი მარცვლეული.

სასამართლომ ყაჯრიშვილსა და პავლიაშვილს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლებაშეკვეთა თვითეულს, ქონების კონფისკაციისა სასჯელის მოხდის შემდეგ სამ-სამი წლით არჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ტუხაშვილ დებულ ტუხაშვილს მიესაჯა წლინაბეჭდი თავისუფლების აღკვეთა. მათვე დაეკისრა კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ს. ჯუჯულაშვილი

ფეხბურთი

დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება

გუშინ, 26 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა ფინალური შეხვედრა საქართველოს თასზე. თამაშობდნენ „ქუთაისისა და სოხუმის „დინამოების“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა სოხუმის „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით — 2 : 1.

თამაშის დამთავრების შემდეგ სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს გადაეცა საქართველოს თასი.

ლექცია

28 აგვისტოს, ხალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ს ქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 6) ინტელიგენციისათვის შესდგება ბ. ფლეგონტ ლექცია თემაზე: „ქართული ლიტერატურა სამამული ომში“.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პლენუმი

29 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მეოთხე პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. კიროვის რაიონის საწარმოებისა და სამრეწველო არტელების მიერ 1944 წლის 7 თვის საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის მდივანი ამხ. ხოშტარია).

2. ანგარიში 1944 წლის 10 მაისიდან 20 აგვისტომდე პარტიაში მიღების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. კუნიცკაია).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ორშაბათიდან, 28 აგვისტოდან, კინოთეატრებში
„რუსთაველი“, „დამკვრელი“ და 26 კომისრის სახელოვნების
ახალი მხატვრული ფილმი
„ჯუნგლების ფარი“
სცენარის ავტორები — გ. ლეონიძე, ს. დოლიძე, დ. რონდელი. დადგმა რეჟისორების ს. დოლიძისა და დ. რონდელისა, ოპერატორები — კ. კუზნეცოვი, ა. პოლიკეკოჩი.
სურათში გადაღებული არიან მსახიობები: დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, მ. გრიშკო, ვახტანგ ჭაბუკიანი, ლილი გვარამაძე, ქეთო ჯაფარიძე, დ. ჩასტი, გ. გრიგორაშვილი, მ. მიქელაძე, მ. ჯაფარიძე, დ. წეროძე.
ლენინის ორდენოსანი თბილისის კინოსტუდიის 1944 წ. ნაწარმოები
„მოლვაკინოპროკატის“ საქართველოს კანტორის გამოშვება

სტალინის სახელოვნების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას ფიზიკა-მათემატიკის, ფილოლოგიის, გეოგრაფიის და ისტორიის ფაკულტეტების დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე.
უგამოკლოდ მიიღებიან 1943 და 1944 წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრაიდოსნები, აგრეთვე საშუალო სკოლის მე-8, მე-9 კლასების მასწავლებლები თავიანთ სპეციალობათა მიხედვით. შემდეგ თავისუფალ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს საკონკურსო გამოცდების წესით.
განცხადება შემოტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ფაკულტეტის და სპეციალობის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) სამი დაძოწმებული ფოტოსურათი, დ) ცნობა სამსახურის შესახებ, ე) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).
განცხადებათა მიღება სწარმოებს 1 სექტემბრამდე. განცხადება და დოკუმენტები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით: თბილისი, მარის ქ. № 14, უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება.
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი აკად. ალ. ჯანელიძე.

საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლესი სკოლის სამმართველო
აცხადებს, რომ გრძელდება ა. წ. 31 აგვისტომდე სტუდენტთა მიღება 1944-45 სასწავლო წლისათვის:
1. ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში: ა) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სექტორებზე, ბ) ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, გ) ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის ქართულ და რუსულ სექტორებზე, დ) ისტორიის და ე) ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტებზე.
2. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში: ა) ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, ბ) ფიზიკა-მათემატიკის, გ) ისტორიის და დ) ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტებზე;
3. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში: ა) ფიზიკა-მათემატიკის, ბ) ენისა და ლიტერატურის, გ) ისტორიის და დ) ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტებზე;
4. ა. წერეთლის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში: ა) ფიზიკა-მათემატიკის, ბ) ენისა და ლიტერატურის და გ) ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტებზე.
ინსტიტუტში შემსწავლელნი გამოიცდებიან: ა) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე—ფიზიკაში, მათემატიკაში, ქართულ და რუსულ ენაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში; ბ) ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე—ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში და სსრ კავშირის კონსტიტუციაში, გ) ისტორიის ფაკულტეტზე—სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ და რუსულ ენებში: დ) ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე—ბუნებისმეტყველებაში, გეოგრაფიაში, ქართულ და რუსულ ენებში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში; ე) ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე—სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში, ქართულ და რუსულ ენებსა და ლიტერატურაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში.
ინსტ ტუტშ წარმოდგენილ უნდა იქნას უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის დაწესებული საბუთები.

მოქალაქენო!
მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველრიცხვებში ქალაქ თბილისში ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში
შეტანილი მოგებებიანი ანაბრების მეოთხე ტირაჟი.
ტირაჟში ყოველ 1000 ანგარიშზე გათამაშებული იქნება 25 მოგება, მათ შორის 1 მოგება-ანაბრის გასული ნახევარწლის საშუალო ნაშთის 200%, 2 მოგება — 100% და 22 მოგება—50% ოდენობით. ოფიციალური სატირაჟო ცხრილი გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“. მეოთხე ტირაჟში მონაწილეობას მიიღებს მომგებიანი ანაბრების ყველა ანგარიში, რომელზედაც დარიცხული იქნება ნაშთი 1944 წლის 1 ოქტომბრისათვის. შეტანილი ფული მომგებიან ანაბრებად. მომგებიან ანაბრებს ღებულობს ყველა შემნახველი სალარო.
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ცოლი ტატიანა, ძმები ჯვეტე, კოლია, ნოკო ცოლ-შვილით ო